ტეეტ კასკი დიდი ხანია ესტონეთის ნაციონალურ საოპერო და საბალეტო დასთან, შვედეთის სამეფო და ნორვეგიის ნაციონალურ ბალეტთან თანამშრომლობს. ქართულ საბალეტო დასთან ეს მისი პირველი შეხვედრა იყო. დადგმის პროცესიც უჩვეულო ვითარებაში წარიმართა – მოცეკვავეები ზაფხულს შავი ზღვის სანაპიროზე, შეკვეთილში, ატარებდნენ. ახალი საბალეტო სპექტაკლის პირველი მონახაზიც იქ დაიბადა, არა მხოლოდ რეპეტიციებზე, არამედ

ყოველდღიური ურთიერთობების, საუბრების დროს.

ქორეოგრაფს იდეა ცნობილი ქართველი კლასიკოსის ოთარ ჭილაძის პოემის „სინათლის წელიწადის“ წაკითხვის შემდეგ გაუჩნდა. ტეეტ კასკი ესტონურ ენაზე გაეცნო და ბალეტის დადგმაზეც მაშინ დაფიქრა. სათაურიც ამ პოემიდანაა

რომელიც ოთარ ჭილაძემ პოეტური სტრიქონებით გადმოსცა. ბალეტში ხუთი მოცეკვავეა დაკავებული (ნინო გოგუა, ანა

ალბუთაშვილი, მაია ილურიძე, უილიამ პრატი, მორის მესხია). პოემის ნაწყვეტებს



## Teet Kask:

# “I am happy as a creator”

Teet Kask has been collaborating with the Estonian National Opera and Ballet Company, Royal Swedish Ballet and Norwegian National Ballet for many years. Now he has also met the State Ballet of Georgia. The staging process took place in uncommon surroundings – dancers were having their

summer holidays by the sea in Shekvetili, and that is where the first sketches of the new ballet first appeared – in everyday contacts and talks, besides the rehearsals.

The idea came to the choreographer after reading the poem *A Light Year* by well-known Georgian classic Otar Tchiladze. Teet

read the poem in Estonian and thought about staging a ballet based on it. Title of his work is also taken from the poem and the choreographer believes that it conveys the idea he wanted to tell through the ballet.





ტეეტ კასკი  
Teet Kask

მოცეკვავეები თავად კითხულობენ სცენიდან. ბალეტში გამოყენებულია ღმრთისმშობლის საგალობელი და ესტონელი კომპოზიტორის ერკი-სვენ ტუურის ნაწარმოები "Dedication".

„რამდენიმე წლის წინ ესტონეთის ერთ სოფელში დასასვენებლად წავიდი, – გვითხრა ტეეტ კასკმა, განმარტობისათვის იქ არაჩვეულებრივი პირობებია, ელექტრო ენერჯიაც კი არ არის. წავიდე წიგნები, სრულიად შემთხვევით ხელში ჩამივარდა სტაფილოსფერგარეკანიანი წიგნი, წარწერით – ოთარ ჭილაძე „სინათლის წელიწადი“. გადავფურცლე და ვიდრე კითხვა არ დავასრულე, წიგნი ხელიდან არ გამიშვია. ამ წიგნის კითხვისას დავრწმუნდი, რომ მისი ავტორისათვის მნიშვნელობა არა აქვს დროს, სივრცეს. ეს ადამიანი წერდა მთელი კაცობრიობისათვის და არა მარტო ქართველებისათვის. გაოცებული დავრჩი რომ მე, სრულიად განსხვავებული კულტურის ადამიანი, ასე დავინტერესდი მისი პოეზიით. ნეტავ როგორ აღიქვამენ ამ ყველაფერს თავად ქართველები? ამაზე ბევრი ვიფიქრე...

2004 წელს ჩავირიცხე ლონდონის უნივერსიტეტის თანამედროვე ქორეოგრაფიის განყოფილებაზე. მაგისტრატურის თემად ავირჩიე მოცეკვავის მეთოდოლოგია და აი, სწორედ მაშინ დამეხმარა ოთარ ჭილაძის „სინათლის წელიწადი“. ის ჩემთვის ერთგვარ გამოწვევად იქცა. მინდოდა ბალეტის ენით გადმომეცა მწერლის ნააზრვეი. ყოველ მოძრაობას რაიმე უნდა ეთქვა მაცურებლისათვის. ოთარ ჭილაძე ჩემი გზის გამკვლევადა იქცა. ეს არ არის სქელტანიანი წიგნი, მაგრამ მასში არის უდიდესი ნააზრვეი. ამ ყველაფერმა გამიმძაფრა ინტერესი საქართველოს მიმართ. გავეცანი მის ისტორიას. ინტერნეტით მოვიძიე უამრავი ინფორმაცია და მივხვდი, რომ საქართველო მართლაც უნიკალური კულტურის ქვეყანაა. განსაკუთრებულად აღვიქვამ თქვენს სულიერ კულტურას, რისი დეფიციტიც აქვს დასავლეთს. ამიტომაც გადავწყვიტე სწორედ აქ დამედგა ეს ბალეტი, სიტყვისა და პლასტიკის შეზავებით გადმომეცა სათქმელი. არავინ იცის, სიტყვა უფრო ძველია, თუ მოძრაობა. სიტყვაც აქვს მიზიდულობის ძალა, მოძრაობასაც აქვს ეს ძალა, მიზიდოს მაცურებელი. მას შემდეგ რაც ნინო ანანიაშვილის წყალობით გავიცანი ქართული საბალეტო დასი, მუშაობას შევუდექი. სპექტაკლის დადგმის პროცესში ბევრი კითხვა მქონდა, მაგრამ იმდენად დიდი ემოცია მივიღე რეპეტიციებზე, რომ როგორც შემოქმედი ბედნიერი ვარ. როგორც ქორეოგრაფი და რეჟისორი ამ სიამოვნებას ვუმაღლი ოთარ ჭილაძეს, რომელმაც წყვილიაღშიც კი მაპოვნინა ჩემი ფრენის სივრცე“.

მწერლის სამყაროში შესაძლებელია შეხვდე ვარსკვლავებს და ცხენს, წვიმას და სიყვარულს, სულიერებას და მზეს, ანგელოზებს და თოვლს. ის ამ სივრცეში მარადიულ ფასეულობებთან შეხების შესაძლებლობას აძლევს ადამიანს. ჩვენ უნდა ვეცადოთ, ეს დღესასწაული მუდამ ჩვენთან დარჩეს. ქორეოგრაფი სწორედ ამის თქმას, ადამიანების ამაზე დაფიქრებას შეეცადა და შესაბამისად მისმა ქორეოგრაფიულმა ტექსტმა მაცურებელს უამრავი საფიქრალი დაუტოვა.



*A Wingless Flight Into the Darkness*, premiere of which took place on September 22 at the A. Griboedov Theatre, represents the choreographer's travel into the space Otar Tchiladze presented to via his poetic lines. Five dancers (Nino Gogua, Ana Albutashvili, Maia Iluridze, William Pratt, Moris Meskhia) participate in the ballet and read extracts from the poem themselves. St. Mary Gospel and the score of Dedication by Estonian composer Erkki-Sven Tüür serve as the music of the ballet.

"Several years ago I went on holidays to one of the villages in Estonia. – Teet Kast said to us. Where you can find excellent surroundings for retiring and having some rest – there is not even any power there. I took some books with me, among them one with orange cover and title "Otar Tchiladze – A Light Year". I could not make myself get my hands off the book until I read it. While reading this work I realized that time and space do not matter for the author – this person was writing for the entire humanity and not just for Georgians. I was astonished that being a person of a vastly different culture, I still got into it. How do Georgians see this? I thought a lot about the matter...

In 2004 I began studying at the Section of Modern Choreography at the University of London and chose Methodic of a Dancer as my masters program. That is when Otar Tchiladze's *A Light Year* helped, challenged me. I wanted to express his thoughts through ballet, where each movement had to say something to the audience. Tchiladze became a pathfinder for me. The poem is not a grand book, but a result of great thought. This all evoke an interest towards Georgia for me, which resulted in searching for a great deal of material on the web and coming to the realization that Georgia definitely is a country of unique culture. Your spiritual culture, something lacking in the West, has been especially interesting to me. This is why I decided to stage the ballet here and try to relay whatever I had to say via combining words and plastics. Nobody knows which one is older – word or movement; both have

the power of gravity that they can make work on the audience.

After I got to know the State Ballet of Georgia thanks to Nina Ananiashvili, I got to work. I had many questions while working, although got overwhelmed by emotions during rehearsals so much that I can say I am happy as a creator. I owe this pleasure as choreographer and a director to Otar Tchiladze, who helped me to find space for my flight even in darkness".

Advices by the poet assisted the choreographer to find the right direction in life. In writer's world it is possible to meet stars and horse, rain and love, spirituality and sun, angels and snow. He gives a person the opportunity to touch timeless values in this space, and we should try to keep this celebration forever. This is what the choreographer wanted to say and convey to the people – it is no surprise then that his choreographic text left the audience a great deal to think about.





# ქართველი პრიმა ლონდონიდან The Georgian Prima From London

მარიკა შალიკაშვილი  
By Marika Shalikashvili



ინგლისის ნაციონალური ბალეტის ქართველი პრიმა-ბალერინა თბილისში ერთწლიანი პაუზის შემდეგ, ნინო ანანიაშვილის მოწვევით, კვლავ ჩამოვიდა. ამჯერად ქართულ დასთან ერთად მან ორ სპექტაკლში მიიღო მონაწილეობა და როგორც თავად განაცხადა, უფრო მეტად ღელავდა, ვიდრე სხვა გასტროლის დროს.

„საქართველოში ჩამოსვლა ყოველთვის ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ სანერვიულოც არის, რადგან ყოველთვის, რა თქმა უნდა, უფრო დიდი პასუხისმგებლობაა. ქართველი მაყურებელი ძალიან თბილი და ემოციურია“ – თქვა ელენე გლურჯიძემ ჩვენთან საუბარში.

მთავარი პარტია ლ. მინკუსის „დონ-კიხოტში“ ელენე გლურჯიძემ 18 ნოემბერს იცეკვა. გრიბოდოვის თეატრის სცენაზე მასთან ერთად კიდევ ერთი ვარსკვლავი, ინგლისის ნაციონალური ბალეტის პრემიერი არიონელ ვარგასი გამოჩნდა. ესპანელი მოცეკვავე, ელენე გლურჯიძესთან ერთად, ქართველმა მაყურებელმა ერთი წლის წინ, ვახტანგ ჭაბუკიანის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილ გალა კონცერტზე გაიცნო.

ელენე გლურჯიძის თბილისური გასტროლი 20 ნოემბერს „ჟიზელში“ გამოსვლით გაგრძელდა. ადანის უკვდავ ბალეტშიც ბალერინას პარტნიორობას ისევ არიონელ ვარგასი უწევდა.

ელენე გლურჯიძის ჟიზელი საუცხოო იყო. ასეთ ემოციურ სპექტაკლს კარგა ხანია არ დავსწრებივარ. ჰაეროვანი, რომანტიკული, შეყვარებული და სიკეთით სავსე გოგონას სახე შექმნა პრიმა-ბალერინამ, რომლის უზადო ტექნიკურ შესაძლებლობებთან ერთად სპექტაკლში განსაკუთრებით გაიბრწყინა მისმა სამსახიობო ოსტატობამ, დრამატიზმმა.

არიონელ ვარგასი, არა მხოლოდ კარგი პარტნიორია, არამედ დიდი შესაძლებლობების მოცეკვავე, რომელმაც ამ სპექტაკლში სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა.

Senior principal of English National Ballet visited Tbilisi again with Nina Ananiashvili's invitation, a year after her previous appearance. This time she performed in two shows with the Georgian troupe and admitted she was more nervous than during other tours.

"I'm always happy to visit Georgia, but at the same time nervous due to the responsibility of performing on the level I aim for and facing this warm and emotional audience" – Glurdjidze said to us.

She danced the leading part of L. Minkus' Don Quixote on November 18, where another star – Arionel Vargas, principal of English National Ballet – appeared with her on the Griboedov Theatre stage. The Spanish dancer became acquainted with the Tbilisi crowd last year during the Vakhtang Chabukiani Anniversary gala.

Glurdjidze's Tbilisi tour continued with the appearance in Giselle on November 20. She was again partnered by Vargas in this eternal ballet by Adam.

Her Giselle was excellent. I hadn't seen such moving performance for long – the character of graceful, romantic, enamoured and kind girl was created by prima ballerina whose impeccable technique is combined with artistic skill and drama, setting her role apart. Vargas is not only good complement to a ballerina but also a dancer of great ability himself, leaving pleasant impression in this performance.

That the performance was impressive overall



საერთოდ სპექტაკლი ძალიან შთამბეჭდავი გამოდგა. ეს არა მხოლოდ მთავარი პარტიების შემსრულებელთა დამსახურებაა, არამედ მთელი საბალეტო დასის დიდი მონდომების შედეგი. განსაკუთრებით აღსანიშნავია კორდებალეტი მეორე მოქმედებაში – ვილისების ჰაეროვნება, სინქრონულობა და საზები.

ინგლისის ნაციონალურ ბალეტის დასში ელენე გლურჯიძე თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლისა და სანკტ-პეტერბურგის საბალეტო აკადემიის გავლით მოხვდა. მისი მონაცემები საბალეტო სამყაროში მალევე შენიშნეს და პრიმა ბალერინად აღიარეს. ერთ მშვენიერ დღეს კი, ისე როგორც ზღაპარში ხდება, ქართველი ბალერინა სცენაზე შანელის სახლის ხელმძღვანელმა კარლ ლაგერფილდმა ნახა. აღმოჩნდა, რომ კუჭურიე უკვე დიდი ხანია მოდელს ეძებდა საიუბილეო კოსტიუმისთვის, რომელიც დიაგილევის „რუსული სეზონების“ 100 წლის იუბილისათვის უნდა შეექმნა. ასე დაიბადა ნამდვილი გედის 2500 ბუმბულით გაწყობილი შანელის „პაჩკა“ ექსკლუზიურად ელენე გლურჯიძისთვის.

ელენე გლურჯიძემ მსოფლიო რამდენჯერმე აალაპარაკა. თავდაპირველად იმ წარმატებისთვის, რომელსაც დიდ ბრიტანეთში მიაღწია, შემდეგ კი პრესტიჟულ საერთაშორისო კონკურსებში გამარჯვებისას. მაშინაც, როცა მომავლად გედის საუკეთესო შემსრულებელი გახდა და მოგვიანებით კარლ ლაგერფილდის მუზად იქცა. თბილისში ჩატარებული სპექტაკლების შემდეგ კი ქართველი მაცურებლის გული კიდევ ერთხელ დაიპყრო.

is due not only to the principal role performers but the hard work of the whole company. Graceful Willis' with great timing and lines in the second act deserve special mention.

Elena Glurjidge enlisted at the English National Ballet after graduating from the Tbilisi Choreographic School and St. Petersburg Ballet Academy. Her talents didn't take long to get noticed and recognized, while one day – just like in fairytales – she was seen by Karl Lagerfeld, head designer and creative director of Chanel. He was looking for a model for his anniversary costume for the 100 years celebration of Diaghilev's Russian Seasons. This is how the Chanel tutu with 2500 swan feathers was born, exclusively for Elena Glurdjidge.

Glurdjidge was internationally talked about on several occasions. The first of such was after her success in the United Kingdom, followed by wins at prestigious international contests. That was also the case when she was named best performer of The Dying Swan and later became a muse for Lagerfeld. Here in Tbilisi she enchanted the audience once more in these performances.





## ქართველი ხელოვანების გზავნილი იაპონიას

პრიმა-ბალერინა ამომავალი მზის ფონზე დგას. გზავნილი იაპონიაში მომხდარი მიწისძვრის შემდეგ შეიქმნა. ტრაგედიიდან პირველივე დღეებში პირველი რაც ნინო ანანიაშვილმა გააკეთა თანაგრძნობის ამ ფორმით გამოხატვა იყო. მისი ხმა ბევრი მისი კოლეგის – ხელოვნების ცნობილი მოღვაწეების თანაგრძნობას შეუერთდა. მოგვიანებით ეს ფოტოკომპოზიცია იაპონელი ხალხისადმი მიძღვნილი საქველმოქმედო გალა-კონცერტის სიმბოლოდ იქცა.

„ჩვენ ვლოცულობთ თქვენთვის და თქვენთან ერთად!“ – ნინო ანანიაშვილის ფონდმა საქველმოქმედო გალა-კონცერტი გამართა. ქართველი ხელოვანების მთავარი გზავნილი იაპონელი ხალხისადმი თანაგრძნობა, პატივისცემა და სიყვარული იყო. კონცერტში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტები, გუნდი, სიმფონიური ორკესტრი და საბალეტო დასი მონაწილეობდა.

გალა-კონცერტი რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღეს გამართა და მას საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ეწრებოდნენ. ამ მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ დღესასწაულზე იაპონელი ხალხისადმი თანაგრძნობის გამოხატვა ორი ქვეყნის ურთიერთპატივისცემასა და მეგობრობაზე მიუთითებს. ამ თემაზე ისაუბრა კონცერტის წინ თავის გამოსვლაში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ. დიპლომატიური კორპუსის სახელით მოწვევისათვის მადლობა გადაიხადა წმინდა საყდრის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა მონსინიორ კლაუდიო გუჯეროტიმ.

## Message of the Georgian artists to Japan

Prima ballerina is standing on the backdrop of the rising sun – the message was created after the earthquake hit Japan. It was the first thing done by Nina Ananiashvili to express her consolation following the tragedy. Her words joined those of her many colleagues in the field of art. Later this photo composition also transformed into a promotion sign of the charity gala concert dedicated to the people of Japan.

“We are praying for you and with you” – the gala was presented by the Nina Ananiashvili foundation in the Rustaveli State Drama Theatre on May 26. The main message by Ananiashvili and the Georgian artists to Japan was consolation, respect and love. The concert featured soloists, choir, symphony orchestra and ballet company of the Tbilisi Opera and Ballet Theatre.

The gala on May 26, the Georgian Independence Day, was attended by the representatives of diplomatic corps present in Georgia, invited by the Ministry of Foreign Affairs. Expression of consolation to the people of Japan on this day speaks of the significant mutual respect and friendship between the countries, and this was the topic of the speech by the Minister Grigol Vashadze ahead of the concert. Monsignor Claudio Gugerotti expressed the gratitude for the invitation of the diplomatic corps.

ფილიპე სოლანო. „სიმრეხი იაპონიაზე“  
Philippe Solano. *Dreams About Japan*





იაპონური თემატიკა აირჩია გალა-კონცერტისთვის მანსტრო ჯანლუკა მარჩიანომ. შესრულდა პოპულარული არიები და დუეტები, მეორე მოქმედების ფინალური გუნდი ჯაკომო პუჩინის ოპერიდან „მადამ ბატერფლაი“. მსმენელის დიდი მოწონება დაიმსახურეს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტებმა მაყვალა ასპანიძემ (სოპრანო), ირაკლი კახიძემ (ტენორი) და თეატრის გუნდმა.

საბალეტო დასმა გალა-კონცერტზე საკმაოდ პოპულარული ერთმოქმედებიანი ბალეტი – „სიზმრები იაპონიაზე“ შესრულა. ალექსეი რატმანსკის ერთმოქმედებიანი ბალეტში მთავარი პარტია ნინო ანანიავილიმა იცეკვა. მას პარტნიორობა ამ სპექტაკლში პირველად გაუწია ვასილ ახმეტელმა. სპექტაკლში საბალეტო დასის სოლისტები ლალი კანდელაკი, ცისია ჩოლოყაშვილი, დავით ანანიავილი, უილიამ პრატი და ფილიპ სოლანო მონაწილეობდნენ.

„სიზმრები იაპონიაზე“ ცოცხალი მუსიკის თანხლებით – დასარტყამი ინსტრუმენტების აკომპანიმენტით შესრულდა, რომლისთვისაც თბილისში მოსკოვიდან მარკ პეკარსკის დასარტყამი ინსტრუმენტების ცნობილი ანსამბლი ჩამოვიდა. მათთან ნინო ანანიავილს მრავალწლიანი შემოქმედებითი თანამშრომლობა აკავშირებს.

სალამოს ბოლოს სცენაზე ქართული საბალეტო დასის ყველა წევრი, კონცერტის მონაწილეებთან ერთად გამოვიდა, რომლებიც იაპონიის დროშის წინ ყვავილებს აწყობდნენ იმ ათასობით ადამიანის ხსოვნის პატივსაცემად შემზარავ კატასტროფას რომ შეეწირნენ.

ეს ყვავილები თითოეული ქართველის პატივისცემასაც გამოხატავდა, რომელთა სახელით ქართული ბალეტის დღევანდელმა თაობამ, ნინო ანანიავილის ხელმძღვანელობით, გადაწყვიტა თავისი დამოკიდებულება გამოეხატა იმ ქვეყნის მიმართ, რომელიც უდიდესი კატასტროფის მიუხედავადც კი მთელ მსოფლიოს აოცებს თავისი შრომისმოყვარეობით და პროფესიონალიზმით.

The Japanese theme was chosen by maestro Gianluca Marciano for the gala. Performed were popular arias and duos, and the final choir of the second act of the well-known opera Madama Butterfly by Giacomo Puccini. Audience's appreciation went to soloists of the Tbilisi Opera and Ballet Theatre – Makvala Aspanidze (soprano) and Irakli Kakhidze (tenor) – and the choir of the theatre.

State Ballet of Georgia – recently back from their tour of Italy – performed popular Dreams About Japan. The principal role of this one act ballet by Alexei Ratmansky was performed by Nina Ananiashvili, partnered for the first time in this work by Vasil Akhmeteli. The performance featured soloists of the company Lali Kandelaki, Tsisia Cholokashvili, William Pratt and Philippe Solano.

Music for Dreams About Japan was performed live on percussion instruments, by the well known percussion ensemble directed by Mark Pekarsky – they traveled for the event from Moscow, marking another occasion of their long-standing artistic collaboration with Nina Ananiashvili.

At the conclusion of the evening every member of the ballet company, alongside other participants of the show, laid flowers in front of the flag of Japan to pay respect to the memory of victims of the shocking disaster.

These flowers also expressed the respect of each Georgian, in whose name the current generation of the Georgian ballet, led by Nina Ananiashvili, decided to express their attitude towards the country that holds the world in awe with its work ethic and professionalism.

გალა-კონცერტის ბოლოს  
At the end of the gala

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი  
ბ-ნ გრიგოლ ვაშაძე და წმინდა საყდრის  
საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი  
მონსინიორ კლაუდიო გუჯეროტი

Minister of Foreign Affairs of Georgia  
Mr. Grigol Vashadze and Monsignor Claudio  
Gugerotti



ნინო ანანიავილის ფონდი  
NINA ANANIASHVILI FOUNDATION

საქველმოქმედო  
გალა-კონცერტი  
Charity Gala Performance

დასარტყამი ინსტრუმენტების ანსამბლი (მოსკოვი)  
ხელმძღვანელი მარკ პეკარსკი

დირიჟორი ჯანლუკა მარჩიანი

26 მაისი 2011  
May 26 2011

დასაწყისი  
Beginning at 19:00

Praying  
for you and  
with you  
Japan!

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტროს ადმინისტრაცია  
თბილისი, თბილისის რაიონი, თბილისის ქ. მ. ჯ. ბაქრაძის სახლი

სალონო  
საბალეტო



# ბალეტის ახალგაზრდა ვარსკვლავები

2011 წელს ბალეტის სამყაროში კიდევ ორი ახალგაზრდა ვარსკვლავი გამოარჩიეს. უილბერ ალბერისა და ნინო ანანიაშვილის საერთაშორისო პრემია „ვარსკვლავის“ ტრადიციული დაჯილდოება 27 ივნისს რუსთაველის თეატრში გაიმართა.

გალა-კონცერტი სამი განყოფილებისაგან შედგებოდა და მასში პრემიის ლაურეატები, საბალეტო დასის სოლისტები და მსახიობები მონაწილეობდნენ. პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილმა ბალანჩინის „ბუგაკუში“ მთავარი პარტია პირველად იცეკვა. მას პარტნიორობას ვასილ ახმეტელი უწევდა. საბალეტო დასის მოცეკვავეებმა ირუი კილიანის „Falling Angels“ წარმოადგინეს.

გალა-კონცერტის დასკვნითი განყოფილება მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტებმა ანასტასია სტაშკევიჩმა და ვიარსლავ ლოპატინმა გახსნეს. ქართველი მყურებელი ამ წყვილს უკვე კარგად იცნობს. ვახტანგ ჭაბუკიანის 100 წლისთავის საიუბილეო დღეებში მათ ჩვენს დასთან ერთად მთავარი პარტიები იცეკვეს „დონ კიხოტში“. გალა-კონცერტზე კი ყველას დაამახსოვრდა მათ მიერ შესრულებული დიანას და აქტონის პა დე დე ბალეტიდან „ესმერალდა“. ამჯერად მათ ცნობილი პა დე დე შემოგვთავაზებს ბ. ასაფიევის ბალეტიდან „პარიზის ალი“.





# Young Stars of Ballet

Two more young stars have been singled out for the Gilbert Albert and Nina Ananiashvili International Prize *Star* for 2011, the awarding of which took place on June 27 at the Rustaveli Theatre.

The gala was presented in three acts and featured the laureates, soloists of the company and actors. Prima ballerina Nina Ananiashvili performed for the first time in *Bugaku* by Balanchine, partnered by Vasil Akhmeteli. Dancers of State Ballet of Georgia performed *Falling Angels* by Jirí Kylián.

The Bolshoi soloists Anastasia Stashkevich and Vyacheslav Lopatin opened the concluding act of the evening. The Georgian audience is already familiar with these dancers who performed the leading roles of *Don Quixote* and the memorable Diane and Acteon pas de deux from *La Esmeralda* during the Vakhtang Chabukiani Anniversary Days. This time they danced the well-known pas de deux from *Flames of Paris* by Asafiev.







მაია მახათელი,  
ვიჩესლავ ლოპატინი.  
„დონ კიხოტი“  
Maia Makhateli,  
Vyacheslav Lopatin.  
Don Quixote

მაყურებელი ოვაციით შეხვდა ბოსტონის ბალეტის პრემიერის ლაშა ხოზაშვილის გამორჩენას სცენაზე, რომელმაც საბალეტო დასის წამყვან სოლისტებთან ანა მურადელთან და ნინო გოგუასთან ერთად იცეკვა ადაჟიოები „ჩაკონადან“ (ჯ. ბალანჩინის ქორეოგრაფია) და „რომეო და ჯულიეტა-დან“ (ლ. ლავროვსკის ქორეოგრაფია).

„ვარსკვლავის“ დაჯილდოებისადმი მიძღვნილ გალა-კონცერტზე ტრადიციულად დასის ახალბედა მოცეკვავეები გამოდიან. მაყურებლის გულწრფელი აპლოდისმენტი დაიმსახურა ნინო მათიაშვილმა და ფილიპ სოლანომ, რომლებმაც შეასრულეს პა დე დე ა. ბურნონვილის ბალეტიდან „ყვავილების ფესტივალი ჯენცანოში“.

ლალი კანდელაკმა და ვასილ ახმეტელმა სპეციალურად ბალეტის ამ დღესასწაულისათვის ა.ადანის „კორსარის“ პა დე დე მოამზადეს და ძალიან კარგი შესრულება აჩვენეს მაყურებელს.

გალა-კონცერტის ფინალი „ვარსკვლავის“ ლაურეატების მაია მახათელისა და ვიჩესლავ ლოპატინის დუეტს დაეთმო, რომლებმაც შეასრულეს გრან პა ლ. მინუსის ბალეტიდან „დონ კიხოტი.“

ჟილბერ ალბერმა დაჯილდოებაზე ჩამოსვლა ვერ შეძლო. ჯილდოები ვარსკვლავებს ნინო ანანიაშვილმა გადასცა. შეკრებილ საზოგადოებას მან მადლობა გადაუხადა მობრძანებისათვის. დარბაზს ჟილბერ ალბერის ვიდეომიმართვა გააცნეს:

„ვწუხვარ, რომ ამ დღეს თქვენთან ერთად ყოფნას ვერ ვახერხებ!

მინდა მივულოცო ლაურეატებს, რომელთათვისაც პრემიის გადაცემა ჩემთვის სასიამოვნო ფაქტია. ვუსურვებ მათ ბედნიერ მომავალს და წარმატებებს ხელოვნებაში. არ შემიძლია ჩემი ყურადღება არ დაფოთო საბალეტო დასს და არ გამოვხატო ჩემი დიდი სიყვარული დასის თითოეული წევრის მიმართ. ეს შესანიშნავი მოცეკვავეები დიდ სიამოვნებას ანიჭებენ მაყურებელს. მათ დიდ წარმატებებს ვუსურვებ.

ნინო, მადლობა შენ, რომ მომეცი საშუალება ამ ლამაზი დღესასწაულის ნაწილი გავმხდარიყავი.

თქვენ არა მხოლოდ ბალეტის ვარსკვლავები ხართ, არამედ ვარსკვლავები, რომლებიც ცაში ბრწყინავენ და მაყურებელს უამრავ სიამოვნებას ანიჭებენ. ყველას გულითადად გესალმებით!“

ვარდისფერი მარგალიტებისაგან დამზადებული მაქმანისებური ვარსკვლავების მფლობელებმა მაია მახათელმა (ჰოლანდიის ნაციონალური ბალეტის პრიმა-ბალერინა) და ვიჩესლავ ლოპატინმა (მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი) გალა-კონცერტის ბოლოს კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გადაუხადეს პრემიის დამაარსებლებს და თეატრში შეკრებილ ბალეტის თაყვანისმცემლებს.



of the Boston Ballet. Khozashvili performed adagios from *Chaconne* (choreography by Balanchine) and from *Romeo and Juliet* (choreography by Lavrovsky), partnering leading soloists of State Ballet of Georgia Ana Muradeli and Nino Gogua.

As it has become customary, young dancers of the company got to perform in the awarding gala. This time the sympathy of the crowd went to the duo of Nino Matiashvili and Philippe Solano, performers of the pas de deux from *The Flower Festival in Genzano* by Bournonville.

Lali Kandelaki and Vasil Akhmeteli prepared the pas de deux from *Le Corsaire* by Adam for the gala, and danced it very well.

The finale of the evening was the grand pas from *Don Quixote* by Minkus, danced by the laureates of the prize Maia Makhately and Vyacheslav Lopatin.

Gilbert Albert could not travel to the gala. The prizes were awarded by Nina Ananiashvili, who thanked the audience for attending the gala. A video greeting by Albert said:

“Unfortunately I could not be with you today. I would like to congratulate the laureates and say how pleased I am for them to be receiving the prize. I wish them great future and success in their art. Also I would like to express my love to the State Ballet of Georgia, dancers of which do their best to please the audience. Best of luck to them.

Thank you Nina for enabling me to be part of this beautiful celebration.

You are not just stars of ballet but the ones shining in the skies and pleasing the onlookers. My sincere greetings to all of you!”

Laced stars made from pink diamonds were given out to Maia Makhately (principal of the Dutch National Ballet) and Viacheslav Lopatin (soloist of the Bolshoi Theatre of Moscow), who thanked the authors of the prize, as well as the ballet audience.



დაჯილდოება  
Awarding




ანასტასია სტაშკევიჩი, ვიჩესლავ ლოპატინი. „პარიზის ალი“  
Anastasia Stashkevich, Vyacheslav Lopatin. *Flames of Paris*



## „აჭარპანის“ პრემიერა

2011 წელს ჩამოყალიბდა გიორგი ალექსიძის სახელობის თანამედროვე ქორეოგრაფიის განვითარების ფონდი, რომელიც ხელს შეუწყობს მისი ქორეოგრაფიული მემკვიდრეობის შენარჩუნებას, მომავალი თაობებისათვის მის გაზიარებას და პოპულარიზაციას. ფონდმა 9 ივლისს რუსთაველის თეატრში პირველი პროექტი წარუდგინა საზოგადოებას. ეს გახლდათ მარიამ ალექსიძის ბალეტის – „აჭარპანის“ პრემიერა.


ფანტაზია აფხაზური ფოლკლორის თემზე ახალგაზრდა ქორეოგრაფმა იანის ქსენაკისის, თეიმურაზ ბაკურაძის, იოსებ ბარდანაშვილის ნაწარმოებებსა და აფხაზეთის რეგიონის ეთნომუსიკაზე დადგა. წარმოდგენის



მხატვარია გიორგი ალექსი-მესხიშვილი, რეჟისორი – გელა კანდელაკი. საპრემიერო სპექტაკლებში მონაწილეობდნენ: Boston Ballet -ის პრემიერი ლაშა ხოზაშვილი, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასის წამყვანი სოლისტი ნინო გოგუა და მოცეკვავეები: დავით ანანიაშვილი, თამთა ბახტაძე, შორენა ხაინდრავა, ანა ალბუთაშვილი, ეკატერინე სურმავა, ანა გორგიაშვილი, გიორგი ბერიძე, ეკატერინე ლომინაძე, უილიამ პრატი, მაია ილურიძე, ინა აზმაიპარაშვილი, მამუკა კიკალიშვილი, მორის მესხია, პავლე ივანოვი, ანსამბლ „რუსთავისა“ და საბალეტო დასის მოცეკვავე მანუჩარ სიხარულიძე და „აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლის“ მოცეკვავე ბექა ხუროძე.

აფხაზური ფოლკლორის თემზე, ადათ-წესებზე, სარიტუალო ცეკვებსა და სიმღერებზე, ფოლკლორული და მითოსური საწყისების განზოგადოებულ სახეებზე დაყრდნობით, სპექტაკლის დრამატურგიული ხაზი გადმოსცემს ადამიანისა და სამყაროს კავშირს, სიკეთისა და ბოროტების ჭიდილის მარადიულ თემას.


„აჭარპანი“ თბილისის საერთაშორისო ფესტივალის ქართული პროგრამის ფარგლებში კვლავ იქნა წარმოდგენილი.



## Premiere of Acharpany

In 2011, George Aleksidze Foundation for Development of Contemporary Choreography was established with the aim of preserving, sharing to the future generations and popularization of his choreographic legacy. The foundation presented its first project on July 9 at the Rustaveli Theatre. This was the premiere for the ballet *Acharpany* by Mariam Aleksidze.

The fantasy on the subject of Abkhazian folklore was developed by the young choreographer on scores by Iannis Xenakis, Teimuraz Bakuridze, Ioseb Bardanashvili and on ethnic music of the Abkhazian region. Giorgi Aleksi-Meskishvili was designer of the staging, while Gela Kandelaki worked as director. The performance featured Lasha Khozashvili (principal dancer of the Boston Ballet), Nino Gogua (leading soloist of the State Ballet of Georgia) as well as soloists and dancers of the State Ballet of Georgia: David Ananiashvili, Tamta Bakhtadze, Shorena Khaindrava, Ana Albutashvili,



გელა კანდელაკი, მარიამ ალექსიძე, გიორგი ალექსი-მესხიშვილი. პრემიერის შემდეგ Gela Kandelaki, Mariam Aleksidze, Giorgi Aleksi-Meskishvili after a premiere

Ekaterine Surmava, Ana Gorgiashvili, Giorgi Beridze, Ekaterine Lominadze, William Pratt, Maia Iluridze, Ina Azmaiparashvili, Mamuka Kikalishvili, Moris Meskhia, Pavel Ivanov, Manuchar Sikharulidze (dancer of the Rustavi ensemble and State Ballet of Georgia) and Beka Khurodze (dancer of the Abkhazian State Ensemble).

The dramaturgical line of the work - based on the theme of Abkhazian folklore, rites, ritual dances and songs, generalized views of the mythical roots - conveys connection between human and world, and the eternal topic of the struggle between the good and the evil.

*Acharpany* was also presented in frame of the Georgian Program of the Tbilisi International Festival.



## შეხვედრები სტუდენტებთან

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებს საბალეტო სპექტაკლებზე დასწრება შელავათიან ფასებში, სპეციალური აბონემენტებით შეეძლებათ. საბალეტო დასის ხელმძღვანელმა ნინო ანანიაშვილმა ამის თაობაზე, 5 ოქტომბერს, უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრაზე განაცხადა. პრიმა-ბალერინამ სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს ახალი სეზონის გეგმები გააცნო და საკუთარ შემოქმედებით გზაზე ისაუბრა. ნაჩვენები იქნა ფრაგმენტები ბალეტებიდან ნინო ანანიაშვილის მონაწილეობით. 18 ოქტომბერს სტუდენტებთან შეხვედრა საქართველოს უნივერსიტეტშიც გაიმართა.

### Meetings with students

Students of the Black Sea International University will be able to attend the ballet performances at discount prices, with a special program ticket. Artistic director Nina Ananiashvili made the announcement on October 5 in a meeting with the students. The prima ballerina spoke to the students and professors about plans for the new season and her own artistic work. Fragments from the ballets featuring her dance were shown at the meeting. Another meeting at the University of Georgia followed on October 18.

## „საგალობელი“ დისკზე გამოვა



იური პოსოხოვის ერთმოქმედებიანი ბალეტი ქართულ მელოდიებზე „საგალობელი“ DVD დისკზე ჩაწერილი გამოიცემა. სტუდია „ბრავო რეკორდსთან“ თანამშრომლობით 2011 წლის ივნისში ბალეტი გრიბოედოვის თეატრში გადაიღეს. ახლა მზადდება ჩანაწერის ციფრული ვერსია. გადაღების რეჟისორია დავით გერსამია.

### Sagalobeli will be issued on DVD

One act ballet *Sagalobeli*, based on Georgian melodies and created by Yuri Possokhov, will be issued on DVD. The ballet was recorded in a collaboration with the Bravo Records at the Griboedov Theatre in June 2011 and digital version is currently being prepared. Director for the project is David Gersamia.

## „ვარსკვლავის“ გალა პირველ კავკასიურ არხზე

ტელეკომპანია პირველი კავკასიურის ეთერში ჟღერს ალბერისა და ნინო ანანიაშვილის საერთაშორისო პრემია „ვარსკვლავის“ გადაცემისადმი მიძღვნილი გალა-კონცერტის ჩანაწერი გადაიცა. არხმა კონცერტის ჩანაწერი რუბრიკით „Музыка на ПИКе эксклюзивные концерты“ აჩვენა.



### Gala of the “Star” on the PIK TV channel

The recording of the gala concert for the awarding ceremony of the “Star” International Prize founded by Gilbert Albert and Nina Ananiashvili was aired on the PIK TV channel through the “Music on the PIK – Exclusive Concerts” feature.

## ქართული კულტურის დღეები ეკვადორში

### Georgian Culture Days in Ecuador

Dancers of State Ballet of Georgia took part in events in frame of the Georgian Culture Days in Ecuador on November 22-28. The program – presented to the audiences in various cities – included classical dances from ballet shows, pas de deux *Flower Festival in Genzano* and the Georgian Dance from the opera *Daisi* by Z. Paliashvili. State Ensemble *Rustavi* participated in the Days alongside the company.

ეკვადორში საქართველოს კულტურის დღეებში, რომელიც 22-28 ნოემბერს გაიმართა, საბალეტო დასის მოცეკვავეები მონაწილეობდნენ. პროგრამაში, რომელიც ქართული ბალეტის მოცეკვავეებმა ეკვადორის სხვადასხვა ქალაქის მაყურებელს შესთავაზეს წარმოდგენილი იყო კლასიკური ცეკვები საბალეტო სპექტაკლებიდან, პა დე დე „ყვავილების ფესტივალი ჯანცანოში“ და ქართული ცეკვა ზ. ფალიაშვილის ოპერიდან „დაისი“. ქართული კულტურის დღეებში საბალეტო დასთან ერთად მონაწილეობდა სახელმწიფო ანსამბლი „რუსთავი“.



2011 წლის 30 აპრილიდან 2 მაისამდე საბალეტო დასი გასტროლზე იმყოფებოდა იტალიაში. ქალაქებში ლენიანსა და გორიციაში წარმოდგენილი იქნა ჯორჯ ბალანჩინის ბალეტების პროგრამა: „სერენადა“, „Duo Concertant“ და „მოცარტიანა“. ქვემოთ გთავაზობთ იტალიური პრესის გამოხმაურებას 30 აპრილს სალიერის თეატრში გამართული საღამოს შესახებ:

On April 30 and May 2, 2011 the State Ballet of Georgia was on tour to Italian cities of Legnano and Gorizia, performing *Serenade*, *Duo Concertant* and *Mozartiana* for the public. Below we present reactions of the Italian press on the April 30 evening at the Salieri Theatre:

## სალიერის თეატრში სეზონი ბალანჩინის გაბრწყინებით დაიხურა

### Season Ends With a Spark of Balanchine at the Salieri Theatre

ლენიანო. საბალეტო სპექტაკლმა, დამსახურებულად, სრული ანშლავით ჩაიარა.

საქართველოს სახელმწიფო ბალეტმა დიდი აპლოდისმენტების თანხლებით დახურა თეატრალური სეზონი. განსაკუთრებული

იყო მათი კოსტიუმები და სცენოგრაფია. უკეთეს დასასრულს ვერც წარმოვიდგენდით, ვიდრე ეს ლენიანოს სალიერის თეატრში შაბათ საღამოს გამართული სპექტაკლი იყო. თეატრის აფიშაზე, რომელსაც ბევრ სპექტაკლზე ახსოვს ანშლავი, იმ საღამოსაც გამოჩნდა წარწერა: „ყველა ბილეთი გაყიდულია“. შაბათ საღამოს დარბაზი 98 პროცენტით შეივსო. ლენიანოს თეატრსაც სხვა აღარაფერი დარჩენოდა, რომ ეს სპექტაკლი, რომელიც

განსაკუთრებულად იქნა შეფასებული მაყურებლის მიერ და სადაც რუსი ქორეოგრაფისა და მოცეკვავის – ჯორჯ ბალანჩინის დახვეწილი ხელოვნება საქართველოს სახელმწიფო ბალეტმა უნაკლო ტექნიკით

წარმოგვიდგინა, სრულიად წარმატებულად გამოეცხადებინა. ეს გახლდათ წარმატებული და ამაღელვებელი თანხვედრა, შედეგი იმ დამოკიდებულებისა, რომელსაც

საქართველოს სახელმწიფო ბალეტი და მისი სამხატვრო ხელმძღვანელი (რომელიც საბალეტო სამყაროს ვარსკვლავია) ნინო ანანიაშვილი მისტერ ბის (როგორც მას მისი მოწაფეები მოიხსენებდნენ) შემოქმედების მიმართ იჩენენ. წარმატებული იყო სალიერის თეატრის არჩევანიც:

დაესრულებინა თეატრის წარმატებული ექსპერიმენტი მესამე მონოგრაფიული საღამოთი, რომელიც თანამედროვე ცეკვის გიგანტს დაეთმო; ქორეოგრაფს, რომელმაც შეძლო დიდებული რუსული საბალეტო ტექნიკისა და ტრადიციების ევროპულ ყაიდაზე მოქცევა და მისი უნიკალურ სტილად ჩამოყალიბება. იგი გამოირჩევა ნახაზების სისუფთავით და რთული ტექნიკით, რისი შესრულებაც ურთულეს საშემსრულებლო ოსტატობასა და ვირტუოზობას მოითხოვს.

დიდი ქორეოგრაფის ნაბიჯების კვალდაკვალ, მისი ულამაზესი ქორეოგრაფიის იშვიათი შესრულებით, ქართული სახელმწიფო ბალეტის ოცდაათმა მოცეკვავემ განსაკუთრებული საღამოს გამართვა მოახერხა. ოციოდე მაღალმა, დიდებულმა და გრძელ, თეთრ, ჰაეროვან კაბებში გახვეულმა მოცეკვავემ საღამო ბალანჩინის ერთ-ერთი უდიდესი ბალეტი-შედეგით გახსნა. „სერენადა“ ქორეოგრაფმა, 1934 წელს, „ნიუ იორკ სქულ ოფ ამერიკან





ბალეს“ მოცეკვავეებს – თავის პირველ მოსწავლეებს აჩუქა. ესაა ქორეოგრაფია, რომელიც ხორცს ასხამს ბალანჩინის სრულყოფილებას. წარმოდგენას სცენოგრაფია პრაქტიკულად არა აქვს (ყველაფერი გახვეულია მთვარის წარმოსახვით სინათლეში). განსაკუთრებული კოსტიუმები ვვიმარტივებს მოძრაობების მარტივად ამოცნობის პროცესს, მუსიკა კი (ბალანჩინის საყვარელი კომპოზიტორის – ჩაიკოვსკის ბრწყინვალე სერენადა, Opus 48; დო მაჟორი) ამ ცეკვისგან, რომელსაც აბსოლუტურად არ გააჩნია შინაარსი, ნამდვილ და უნიკალურ ამბავს ქმნის.

ქორეოგრაფს არანაკლები დამოკიდებულება ჰქონდა იგორ სტრავინსკის მუსიკისადმიც, როგორც ეს 1972 წელს, ნიუ იორკ სითი ბალესთვის დადგმულმა *Duo Concertant*-მა გვიჩვენა: ეს ბალეტი წარმოადგენს მცირე საბალეტო მარგალიტს, სადაც ერთ სცენაზე წარმოდგენილია მუსიკალური (როიალი და ვიოლინო) და ქორეოგრაფიული შესრულება. ეკატრინე სურმავემ და იგორ არტამონოვმა (მინსკის თეატრის სოლისტი) კარგი შესრულება გვაჩვენეს.

ბალანჩინის ხელწერა ყველაზე უკეთ „მოცარტიანამ“ დაგვანახა. ბალეტი, რომელიც სადამოს ბოლოს შესრულდა, შემთხვევით როდია აღიარებული ბალანჩინის სულიერ მემკვიდრეობად. „მოცარტიანა“ პირველად 1933 წელს ჩაიკოვსკის პარტიტურის მიხედვით დაიდგა (რომელიც თავის მხრივ მოცარტის ოთხი საფორტეპიანო ნაწარმოების გაორკესტრებას წარმოადგენს). 1981 წელს ქორეოგრაფმა ხელმეორედ დადგა ბალეტი. „მოცარტიანა“ ძალიან ინტიმური და სულიერებით აღსავსე ქორეოგრაფიაა. ბალეტის შემსრულებლებს შორის გამორჩეულია ნინო ანანიასვილი, რომელმაც არაჩვეულებრივად და აკადემიურად შეასრულა იგი. მისი ცეკვა ბალანჩინის სტილისთვის დამახასიათებელი მოძრაობების სირბილითა და სიმსუბუქით გამოირჩეოდა. ესაა რუსული საბალეტო სკოლის წარმომადგენელი, მაგრამ ქართული ხასიათისა და გარეგნობის ბალერინა, რომელსაც მქუხარე ოვაციებზე გამოსვლისას არ დავიწყებია ხუთჯვრიანი თეთრი დროშის გამოტანა, იმის ნიშნად, რომ იგი საქართველოს ელჩს წარმოადგენს მთელს მსოფლიოში.

თარგმნა ირინა ბაგაურმა

Legnano. The ballet performance was presented in front of a fully packed audience – the State Ballet of Georgia closed the theatrical season in front of great ovation, and their costumes and scenography were remarkable.

We could not imagine a better ending than this show at the Salieri Theatre of Legnano on Saturday night. The theatre banner, having seen numerous packed events, again displayed the ‘Sold out’ message. The venue was on average 98 full on the evening, and the theatre could definitely report the show – celebrated by the audience and featuring the exquisite art by the Russian choreographer and dancer George Balanchine presented with impeccable technique by the State Ballet of Georgia – a complete success. This was a successful and moving combination, a result of the attitude by the company and its artistic director (and the international star) Nina Ananiashvili towards Mr. B’s (as referred to by his pupils) work. And the choice by the Salieri Theatre to complete its experiment with the third monographic evening dedicated to the giant of contemporary dance was successful too – the evening showed the work of the choreographer who managed to set the magnificent Russian ballet technique and traditions on a European way and develop it into unique style, complete with cleanness of lines and complexity of technique – all this takes extremely complex performing skill and virtuosity.


Following the footsteps of the great choreographer and performing his beautiful choreography in a remarkable way, the thirty dancers of the State Ballet of Georgia managed to set a unique evening, opened by about twenty tall, graceful dancers dressed in white soft costumes for *Serenade*, a gift by the choreographer to the dancers of the New York School of American Ballet in 1934, his first pupils. This is the choreography that makes real the ultimate of Balanchine. Scenography is practically nonexistent (everything is embroiled in the imaginary moonlight), and the special costumes make it easy to effortlessly spot the movements. The music (Opus 48 in C, the brilliant serenade by Tchaikovsky, Balanchine’s favorite composer) makes the dance – which does not possess any plot – a real and unique story.

The choreographer had similar ties to the music of Igor Stravinsky, shown by *Duo Concertant* staged for the New York City Ballet in 1972: this work represents a small diamond of ballet, where the same stage features musical (piano and violin) and choreographic performance. Ekaterine Surmava and Igor Artamonov (soloist of the Minsk Theatre) presented a good show.

Balanchine’s signature was best displayed by *Mozartiana*. The ballet, performed at the conclusion of the evening, is not perceived as Balanchine’s spiritual legacy by accident. It was first staged based on the Tchaikovsky score (an orchestration of the four piano works by Mozart) in 1933. The choreographer staged the ballet again in 1981. The choreography if *Mozartiana* is especially intimate and complete with spirituality. Nina Ananiashvili is notable among the performers of the ballet – she danced it remarkably and academically. Her dance was full of soft and light movement the Balanchine style is known for. She is a representative of the Russian ballet school, although a ballerina with Georgian character and appearance who did not forget to take the Georgian national flag on the curtain call, to make it clear she is a worldwide ambassador of Georgia.

Translation by Irina Bagauri






ვახტანგ ჭაბუკიანის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასმა გამოსცა ფოტოალბომი „ვახტანგ ჭაბუკიანი“. ალბომი, რომელშიც გენიალური მოცეკვავისა და ქორეოგრაფის უნიკალური ფოტომასალაა თავმოყრილი, იუნესკოს დაფინანსების პროგრამის ფარგლებში გამოიცა და იუნესკოს გენერალური მდივნის ირინა ბოკოვას წინასიტყვაობით იხსნება. ალბომის შემდგენელ-რედაქტორია ილია თავბერიძე, დიზაინერი ბესიკ დანელია.

### Anniversary edition

Tbilisi Opera and Ballet State Theatre has published the photo album Vakhtang Chabukiani for the 100 years anniversary of the birth of the great artist. The album, featuring unique photo material of the genius of dance and choreography, has been published in frame of the UNESCO financing program and includes the foreword by Irina Bokova, secretary general of the organization. Iliia Tavberidze is the editor of the album, while the design has been done by Besik Danelia.

### ბურნონვილის საზაფხულო სკოლა ბიარიცში

2011 წლის 25-30 ივლისს საფრანგეთის საკურორტო ქალაქი ბიარიცი ბალეტის ახალგაზრდა მოცეკვავეთა ტრადიციულ საზაფხულო სკოლას – „ბურნონვილი ბიარიცში“ მასპინძლობდა. ახალგაზრდა მოცეკვავეები ავგუსტ ბურნონვილის სტილსა და ტექნიკას სწავლობდნენ. ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების ორგანიზებითა და დაფინანსებით წელს ბიარიცის საზაფხულო სკოლაში საბალეტო დასის მოცეკვავეები ნინო მათიაშვილი, ანა ალბუთაშვილი, გიორგი მშვენიერაძე და ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლე მამუკა კიკალიშვილი იმყოფებოდნენ. მეცადინეობებს სკოლაში ცნობილი დანიელი და ნორვეგიელი ქორეოგრაფები და პედაგოგები დინა კლობორგი, ფრენკ ანდერსენი, ევა კლობორგი, ტომას ლუნდი და ერიკ ვიუდესი ატარებდნენ.



### Bournonville Summer School in Biarritz

On July 25-30, 2011 French resort Biarritz hosted the traditional Summer school Bournonville in Biarritz for young ballet dancers where they were taught the Bournonville style and technique. With the financial support of Friends of the Georgian Ballet, dancers of the State Ballet of Georgia – Nino Matiashvili, Ana Albutashvili, Giorgi Mshvenieradze and student of the Choreographic School Mamuka Kikalishvili – participated in the Summer school, where their pedagogues were well-known Danish and Norwegian choreographers and teachers Dinna Bjoern, Frank Andersen, Eva Kloborg, Thomas Lund and Eric Viudes.

ნინო მათიაშვილი, გიორგი მშვენიერაძე ბიარიცის სკოლაში Nino Matiashvili, Giorgi Mshvenieradze at Biarritz school



## საქართველოს რეგიონებში

29 აგვისტოს თბილისის ოპერის და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასმა საქართველოს რეგიონებში გასვლითი სპექტაკლების გამართვა დაიწყო. ქალაქ ფოთის დღეების პროგრამის ფარგლებში ფოთის ცენტრალურ მოედანზე ქართული ბალეტის მოცეკვავეებმა ორსაათიანი კონცერტი გამართეს. პროგრამამ კლასიკური ბალეტებიდან რამდენიმე ნომერი და ქართულ მელოდიებზე შექმნილი ერთმოქმედებიანი ბალეტი „საგალობელი“ გააერთიანა. მაყურებელთა ოვაციების გამო „მომაკვდავი გედი“ შესრულება ნინო ანანიაშვილს ორჯერ მოუხდა. პრიმა-ბალერინა და საბალეტო დასი ფოთში შეკრებილ მაყურებელს ერთი წლით დაემშვიდობა. ქართული საბალეტო დასი გაზაფხულზე კონცერტს ფოთის სახელმწიფო თეატრის ახალი შენობის გახსნაზე გამართავს.

ოცწლიანი პაუზის შემდეგ საბალეტო დასმა ქუთაისის ბალანჩივაძეების სახელობის ოპერის განახლებული თეატრის სცენაზე ორგანოფილებიანი გალა-კონცერტი 30 აგვისტოს გამართა. საღამოზე დასწრება თავისუფალი იყო და დარბაზმა ყველა მსურველი ვერ დაიტია. ნინო ანანიაშვილის მიერ შესრულებულმა „მომაკვდავი გედი“ არც ქუთაისელი მაყურებელი დატოვა



გულგრილი. პრიმა-ბალერინა ბისზე რამდენჯერმე გამოიძახეს და ნომრის შესრულება სთხოვეს.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის გალა კონცერტი 9 სექტემბერს გორში გაიმართა. ბალეტის მსახიობებს გორის კულტურის ცენტრმა უმასპინძლა.

4 ოქტომბერს, თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, გალა-კონცერტი 17 საათზე დაიწყო. პირველ განყოფილებაში წარმოდგენილი იქნა „შოპენიანა“ – ერთმოქმედებიანი ბალეტი შოპენის მუსიკაზე, შესრულებული იქნა ესპანური ცეკვა ბალეტიდან „გედების ტბა“ (მაია ილურიძე, ვიკა კიკაბიძე, უილიამ პრატი, მორის მესხია), „გოპაკი“ (გიორგი მშვენერაძე), პა დე დე ბალეტიდან „კორსარი“ (ლალი კანდელაკი, ვასილ ახმეტელი) და საბალეტო მინიატურა „მომაკვდავი გედი“ (ნინო ანანიაშვილი).



### In the regions of Georgia

State Ballet of Georgia began its tour to the regions of Georgia on August 29. In frames of the Days of the City of Poti program the dancers of the Georgian ballet presented a two hour concert on the central square of the city. The concert program included several numbers from the classical ballets as well as the one act ballet *Sagalobeli* based on the Georgian melodies. Due to the ovations from the audience, Nina Ananiashvili had to perform the *Dying Swan* twice. The prima ballerina and the company said goodbye to the audience in Poti until next year, when on Spring when they will perform for the opening of the Poti State Theatre new venue.

After the twenty-year break, the Georgian ballet company performed for the first time at the renovated Kutaisi Balanchivadzes Opera. The two-act gala was presented on August 30 – attendance was free, and the venue was packed. The audience in Kutaisi was impressed by Camille Saint-Saens' *Dying Swan* by Ananiashvili and she had to perform the number several times here too.

On September 9 the gala of the State Ballet of Georgia took place in Gori. The host for the night was the Gori Culture Centre.

The concert at the Telavi Vazha Pshavela State Drama Theatre began at 17:00 on October 4. The first act presented *Chopiniana* – the one-act ballet on music by Chopin. The audience also saw the Spanish Dance from *Swan Lake* (Maia Iluridze, Vika Kikabidze, William Pratt, Moris Meskhia), *Hopak* (Giorgi Mshvenieradze), pas de deux from *Le Corsaire* (Lali Kandelaki, Vasil Akhmeteli) and *The Dying Swan* miniature (Nina Ananiashvili).



# აპოლო

– ბალეტის ბედისწერა

# Apollo

– Fate of Ballet

„აპოლონ მუსაგეტის“ დადგმიდან 49 წლის შემდეგ, 1977 წელს, ბალანჩინმა ყველა გააოცა ბალეტში შეტანილი ცვლილებებით: „ვუყურებდი აპოლოს და ვფიქრობდი რა შეიძლებოდა შემეცვალა. შევხედე დაბადების სცენას და მივხვდი, რომ ის არ იყო საინტერესო... ქალი თმებით გამოიყურებოდა როგორც მონარქული კვერცხი. გამახსენდა უკანა ფონი და ვიფიქრე, რომ მთები არ არის საინტერესო... მთები მოვაშორე! მოგვიანებით ვარსკვლავები დაგვიდე, მაგრამ ისინი საოცრად სულელურად ჩანდნენ და ისინიც მოვაშორე! დიაგილევის კომპანიაში უკან ფარდაზე ეტლი იყო გამოსახული, მაგრამ ის ამერიკაში არასდროს გამომიყენებია... ეს ყველაფერი უინტერესო მეჩვენა. ღირებული მხოლოდ ცეკვა იყო! ჰოდა, ამიტომაც შევცვალე ყველაფერი! ვიცი, რომ მაყურებელი არ მეთანხმება, მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით, მე ბალეტს მხოლოდ ნაგავი მოვაშორე!“ – ასე ახსნა საკუთარი გადაწყვეტილება ბალანჩინმა.

Four years before his death and 49 years after staging *Apollon musagete*, Balanchine shocked everyone with changes made to the ballet in 1977. "I had a look at *Apollo* and thought about what could be changed. Looked at the birth scene and realized it was not interesting... the woman with hair looked like egg. Then I recalled the background and thought the mountains were not interesting, so removed them altogether! Later I placed stars there, although they looked remarkably silly, so removed them too! In Diaghilev's company there was a phaeton on the background curtain, but I never used it in America... All this seemed uninteresting for me, unlike the dance itself, so I changed it all! I know audience does not agree with me, but in my belief I only removed garbage from the ballet" – this is how Balanchine explained his decision.



ილია თავბერიძე  
By Ilia Tavberidze



ხუთი ათეული წლის შემდეგ ქორეოგრაფი კვლავ ეძებდა სიახლეებს იმ ბალეტისათვის, რომელიც დადგმისთანავე იქცა შემოზღოვების წერტილად ბალანჩინის ცხოვრებაში, მოვლენად – მსოფლიო საბალეტო სამყაროში.

ბალანჩინმა კარგად იცოდა, რომ ყოველ ცვლილებას მაყურებელი მტკივნეულად განიცდიდა. მისტერ ბის ისიც კარგად ახსოვდა, რომ ერთ-ერთ საპრემიერო სპექტაკლზე, როცა დიაგილევა ბალანჩინს ბალეტიდან ტერფსიქორას ვარიაცია ამოაღებინა, დარბაზი უკმაყოფილო მაყურებლის სტვენამ მოიცვა. ამის მუხედავად, იგი მიანიც არ ერიდებოდა ცვლილებებს და მუდმივად ფიქრობდა მისთვის ყველაზე საყვარელი ბალეტის სრულყოფაზე. 1937 წელს სტრავინსკის ფესტივალზე, მეტროპოლიტენ ოპერაში, ბალანჩინმა აღადგინა „აპოლონ მუსაგეტი“. 1943 წელს კი, როცა ანდრე ეგლევესკიმ ვერა ზორინასთან ერთად იცეკვა იგი, შემოკლდა სპექტაკლის სახელიც და მას უბრალოდ „აპოლო“ ეწოდა. ამ ცვლილებების მიუხედავად, არასოდეს შეცვლილა

After five decades the choreographer was still looking for novelties for the ballet that became not only a turning point in Balanchine's life, but also a phenomenon in ballet world.

Balanchine knew very well that audience took every change to its favorite ballet close to heart. He also remembered that at one of the premiere performances, from which Diaghilev made him remove the Terpsichore variation, a hall got engulfed in disapproving whistling. Despite this, he did not shy away from making changes and constantly thought about perfection for his favorite ballet. In 1937 at the Stravinsky Festival at the Metropolitan Opera Balanchine reconstructed *Apollon musagete*. From 1943, when it was danced by Andre Eglevsky with Vera Zorina, the ballet was referred to simply as Apollo. Despite these changes, the essence of its choreography, which created the basis for neoclassicism in ballet art, never changed.

*Apollo* held important place in Stravinsky's ideas as well. He called the music for the ballet his 'turnaround' and, like Balanchine, underlined its importance. In 1957 Stravinsky admitted on NBC air: "Apollo is a entirely different thing in my music. It is much more important than most think."

ქორეოგრაფიის არსი, რამაც სათავე დაუდო ნეოკლასიციზმს საბალეტო ხელოვნებაში.

„აპოლოს“ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სტრავინსკის იდეებშიც. ბალეტის მუსიკა მან საკუთარ „შემოზღოვებად“ დაახასიათა და ამით, ბალანჩინის მსგავსად, გაუსვა ხაზი მის მნიშვნელობას. 1957 წელს NBC-ს ეთერში იგორ სტრავინსკიმ აღიარა: „აპოლო“ ჩემს მუსიკაში სრულებით ახალი რამაა. „აპოლო“ იმაზე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვები ფიქრობენ“.

„აპოლონ მუსაგეტის“ პრემიერა 83 წლის წინ, 1928 წლის 12 ივნისს, პარიზში, სარა ბერნარის თეატრში შედგა. სპექტაკლს



*Apollon musagete* premiered at the Sarah Bernhardt Theatre in Paris 83 years ago, on June 12, 1928. The performance was conducted by the composer himself. It was strange and almost unprecedented to see two world premieres of the same ballet almost at the same time. Six weeks before the Paris show, on April 27, 1928, *Apollon musagete* was presented in Washington. Music by Stravinsky was commissioned by Elizabeth Spratt Cullige, well-known Maecenas. The work was to be performed at the Congress Library, where a foundation for Cullige organized concerts and festivals for contemporary composers. Schoenberg, Bartok, Prokofiev all collaborated with the patron lady of art, although Diaghilev did not miss the news about Stravinsky's new ballet. Their collaboration with the Ballets Russes was already realized and he did everything to have *Apollo* staged in his company;

ნინო გოგუა,  
ლაშა ხოზაშვილი,  
ანა მურადელი.  
„აპოლონ მუსაგეტი“.  
თბილისი. 2005

Nino Gogua,  
Lasha Khozashvili,  
Ana Muradeli.  
*Apollo*.  
Tbilisi. 2005



თავად კომპოზიტორი დირიჟორობდა. უცნაური და თითქმის უპრეცედენტო მოვლენაა ბალეტის ისტორიაში – ერთი და იგივე ბალეტის ორი მსოფლიო პრემიერა თითქმის ერთდროულად გაიმართა. პარიზულ სპექტაკლამდე ექვსი კვირით ადრე, 1928 წლის 27 აპრილს, „აპოლონ მუსაგეტი“ ვაშინგტონში წარმოადგინეს. სტრავინსკის მუსიკა „აპოლონისათვის“ ცნობილმა მეცენატმა, ელიზაბეტ სპრეტ კულიჯმა შეუკვეთა. ბალეტი ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკაში უნდა შესრულებულიყო. კულიჯის მიერ კონგრესის ბიბლიოთეკასთან დაარსებული ფონდი თანამედროვე კომპოზიტორების კონცერტებსა და ფესტივალებს მართავდა. მეცენატ ქალთან თანამშრომლობდნენ შონბერგი, ბარტოკი, პროკოფიევი. დიაგილევს არ გამოპარვია სტრავინსკის ახალი ბალეტის ამბავი. სტრავინსკისთან თანამშრომლობა „რუსულ ბალეტთან“ უკვე შემდგარი მოვლენა იყო და მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ „აპოლო“ სწორედ „რუსულ ბალეტში“ დადგმულიყო.

ამერიკულ პრემიერას მნიშვნელობა არც სტრავინსკიმ მიაჩნია. ადოლფ ბოლმის მიერ დადგმულ ბალეტს წარმატება არ ჰქონია. მხოლოდ ერთხელ იქნა წარმოდგენილი. კომპოზიტორი პარიზული პრემიერისთვის ემზადებოდა. 1928 წლის 21 იანვარს სტრავინსკიმ დიაგილევი სახლში მიიწვია და ბალეტის მუსიკა ფორტეპიანოზე მოასმენინა. დიაგილევს თან ახლდა 24 წლის ჯორჯ ბალანჩინი, სრულიად ახალგაზრდა ქორეოგრაფი, ვისაც ბალეტის დადგმა მიანდო.

ფოკინიდან დაწყებული დიაგილევთან, ბევრი ქორეოგრაფი მუშაობდა, რომელთაც

Stravinsky also gave little significance to the American premiere. The Adolph Bolm staging did not enjoy success, having only a single evening ever presented. The composer was preparing for the Paris premiere. On January 21, 1928 Stravinsky invited Diaghilev to his home and played the ballet music on piano. With Diaghilev there was 24 year old George Balanchine, young choreographer entrusted with staging the work.

Starting with Fokine, many choreographers working with Diaghilev were given artistic challenges by him. Young, inexperienced choreographers often were not able to defend their views, although it was different with Balanchine. Diaghilev could teach him many things, but could not control him. Tension was present during the staging process. Balanchine did not like this approach, sets and costumes – and changed them some time after – but he understood that “Diaghilev was the Apollon musagete in his own company” (V. Gaevsky);

That year Diaghilev traveled around Normandy, and the voyage ended with him becoming close to artist Andre Bauchant. This is how sets for *Apollon musagete* got into the hands of a primitive artist. Diaghilev chose from the sketches. Witnesses say that the costumes were awful indeed – ballerinas had their hair covered with wigs, which were almost impossible to perceive in poor lighting. “Diaghilev created awkward costumes, the grey colour of which resembled dirty clothes. One girl had her costume cut deep in the back, another had it the other way around, and the third had both cuts. In short, it was awful idea. Lifar’s costume was reddish-gold and badly made” – Balanchine recalled.

The infamous performance was seen by Coco Chanel too. It was said that the famous

აპოლონ მუსაგეტი. 1928 წ. Apollon musagete. 1928

აპოლონის პრემიერის შემდეგ. მარცხნიდან მარჯვნივ: ფელია დუბროვსკაია, ალექსანდრა დანილოვა, ალისია ნიკიტინა, ლიუბოვ ჩერნისევა. ცენტრში სერჟ ლიფარი. 1928 წ.

After a Apollo premiere. Left to right: Felia Doubrovskia, Alexandra Danilova, Alicia Nikitina, Lyubov Chernysheva. Serge Lifar in the centre. 1928.





იგი შემოქმედებით ამოცანებს აძლევდა. დამწყები, ახალბედა ქორეოგრაფები, როგორც წესი, ყოველთვის ვერ ახერხებდნენ დაეცვათ საკუთარი შეხედულებები. თუმცა ბალანჩინთან ისე არ იყო, როგორც – სხვებთან. დიაგილევს შეეძლო ბევრი რამ ესწავლებინა ბალანჩინისთვის, მაგრამ არ შეეძლო ემართა იგი. დაძაბულობა დადგმის პროცესსაც ახლდა. ბალანჩინს ეს დამოკიდებულება არ მოსწონდა, არ მოსწონდა არც დეკორაცია და არც მოცეკვავეთა კოსტიუმები, რაც წლების შემდეგ შეცვალა კიდევ. თუმცა გრძნობდა, რომ საკუთარ კომპანიაში დიაგილევი თავად იყო „აპოლონ მუსაგეტი“ (ვ. გავესკი);

1928 წელს დიაგილევმა ნორმანდიის გარშემო იმოგზაურა. ვოიაჟი მხატვარ ანდრე ბოშანთან მისი დაახლოებით დაგვირგვინდა. ასე მოხვდა „აპოლონ მუსაგეტის“ სცენოგრაფია და კოსტიუმები პრიმიტიული მხატვრის ხელში. ესკიზებიდან არჩევანი დიაგილევმა გააკეთა. თვითმხილველები აღნიშნავენ, რომ ბალერინები ჯოჯოხეთურად იყვნენ ჩაცმულნი – თმები პარიკით ჰქონდათ დაფარული, უნიათო განათების გამო მათი ალქმა თითქმის შეუძლებელი იყო: „დიაგილევმა მოუხერხებელი კოსტიუმები შექმნა. მათი ნაცრისფერი ჭუჭყიანს მოგაგონებდათ. ერთ გოგონას კოსტიუმი უკანა მხარეს გრძლად ჰქონდა ჩაჭრილი, წინა მხარეს კი – მოკლედ; მეორეს – პირიქით, მესამეს კი – ორივე მხარეს მოკლედ. იდიოტური, საშინელი იდეა იყო. ლიფარის კოსტიუმი მოწითალო-ოქროსფერი იყო და ამასთანავე ძალიან ცუდად შესრულებული“ – იგონებდა ბალანჩინი.


გახმაურებული სპექტაკლი კოკო შანელმაც ნახა. ამბობენ, რომ ცნობილმა დიზაინერმა დიაგილევს, კოსტიუმებისა და ვარცხნილობის გამო, უსაყვედურა კიდევ. მოგვიანებით შანელმა ამ ბალეტში დუბროვსკაიას, ნიკიტინას და დანილოვასთვის ბრწყინვალე კოსტიუმები შექმნა.

სცენის წინა ფარდა უზარმაზარი ყვავილებიანი ლარნაკით იყო მოხატული. სწორედ აქ თამაშდებოდა პროლოგი – „აპოლონის დაბადება“. პროლოგი ბალეტში მხოლოდ კომერციული მიზნებისთვის გაჩნდა. ორნაწილიან ბალეტში იმ დროს უფრო მეტ ჰონორარს იხდიდნენ. სცენის უკან, მონაცრისფრო მთების ფონზე, აპოლონი მუზებთან ერთად ცეკვავდა. ბოლო მიზანსცენა კი ეტლზე მთავრდებოდა.

designer rebuked Diaghilev for costumes and hair styling. Later she created brilliant costumes for Dubrovskaya, Nikitina and Danilova in this ballet.

The forward curtain for stage had a drawing of a flower bowl. This is where the prologue – “The birth of Apollo” – was played out. The prologue was created purely for commercial means – higher royalties were paid for two-part ballets in Paris in that time. Behind the stage, on the background of mountains, Apollo danced with muses, while the last scene ended on phaeton.

Apollo had mixed reactions in Paris. Gordon Craig, great reformer of stage art, present on the premiere, called it “a new way of theatrical art.” He was so impressed that left the theatre after the ballet, not to have his emotional state affected by the rest of the program.



აპოლონ მუსაგეტი –  
იგორ ზელენსკი.  
თბილისი. 2006 წ.  
Apollo – Igor Zelensky.  
Tbilisi. 2006

Success of the ballet, along with the music by Stravinsky and choreography by Balanchine, is associated with performers of its roles (the premiere performance was danced by: Alicia Nikitina (Terpsichore), Lyubov Chernyshova (Calliope), Felia Dubrovskaya (Polyhymnia), Serge Lifar (Apollo). Photos depicting Danilova as Terpsichore are of later period). After the performance, extatic Diaghilev went to the stage and kissed Lifar's feet: “Remember this day, Serezha. This is the second time I'm kissing a dancer's feet. The first time was when Nijinsky danced the premiere of *Le spectre de la rose*.”

The prologue of the ballet begins with the appearance of Leto on the Aegean Sea island of Delphos. She gives birth to Apollo. The newly born is wrapped by two maidens. The prologue is concluded when the child god is given lyre. Apollo, leader of the muses, son of Zeus and Leto, is the main character of the ballet. By using the word 'musagete' in the title, the composer underlined the role of Apollo as leader and conductor. The three muses – Terpsichore, Polyhymnia



პარიზში „აპოლონი“ არაერთგვაროვნად მიიღეს. თეატრალური ხელოვნების დიდმა რეფორმატორმა გორდონ კრეგმა, რომელიც პრემიერას ესწრებოდა, სპექტაკლს „თეატრალური ხელოვნების ახალი გზა უწოდა“. შთაბეჭდილება იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ მან სპექტაკლის შემდეგ თეატრი საერთოდ დატოვა, რათა პროგრამის დანარჩენი ნაწილით ამალღებული განწყობა არ გაეფუჭებინა.

ბალეტის წარმატება, სტრავინსკის მუსიკასა და ბალანჩინის ქორეოგრაფიასთან ერთად, აპოლონისა და მუზების პარტიათა შემსრულებლებსაც უკავშირდებათ (საპრემიერო სპექტაკლი იცეკვეს: ტერფსიქორა – ალისია ნიკიტინამ, კალიოპე-ლიუბოვ ჩერნიშოვამ, პოლიჰიმნია – ფენია დუბროვსკაიამ, აპოლონი – სერჟ ლიფარმა. ფოტოები, სადაც ტერფსიქორას პარტიაში დანილოვაა გადაღებული, გვიანდელია). პრემიერის შემდეგ აღტაცებული დიაგილევი სცენაზე ავიდა და ლიფარს ფეხზე აკოცა: „ეს დღე გახსოვდეს, სერიოჟა. მე მეორეჯერ ვკოცნი მოცეკვავის ფეხს. შენამდე ნიჟინსკის ვაკოცე *Le spectre de la rose* პრემიერის შემდეგ“.


ბალეტის პროლოგი ეგეოსის ზღვის კუნძულ დელფოსზე ლეტოს გამოჩენით იწყება. ის აპოლონს შობს. ახალშობილს ორი ქალწული ახვევს. პროლოგის ბოლოს კი პატარა ღმერთისთვის ლირა მოაქვთ. ბალეტის მთავარი გმირი აპოლონია, მუზების წინამძღოლი, ზევსისა და ლეტოს ძე. კომპოზიტორმა სახელწოდებაში სიტყვა „მუსაგეტის“ გამოყენებით აპოლონის, როგორც მუზების დირიჟორის, წინამძღოლის როლი განსაზღვრა. სამი მუზა – ტერფსიქორა, პოლიჰიმნია და კალიოპე შემთხვევით არ იქნენ შერჩეულნი. სამივე მათგანს ქორეოგრაფიულ ხელოვნებასთან პირდაპირი შეხება აქვს. „კალიოპე გამოხატავდა პოეზიას და მის რითმს, პოლიჰიმნია – პანტომიმის ხელოვნებას, ტერფსიქორა კი – ცეკვის მუზა იყო და აპოლონის გვერდით საპატიო ადგილს იჭერდა“ – წერდა სტრავინსკი. მეორე სურათი, ყმაწვილი აპოლონის გამოჩენით იწყება. ახლადშობილი ჯერ კიდევ არ არის ოლიმპოს ძლევა მოსილი მკვიდრი, ძალაუფლება არ განუმტკიცებია. ამიტომ, მისი ცეკვაც სუსტია, მაგრამ როცა მას ლირას გადასცემენ იგი ღვთაებრივი ძალით აღივსება და თითოეულ მუზას

and Calliope – were not selected by chance. They all have direct connections with choreographic art. “Calliope represented poetry and its rhythm; Polyhymnia was the art of mime, while Terpsichore was muse of dance and took respected position alongside Apollo” – Stravinsky wrote. The second scene begins with the young Apollo. He is not yet a powerful member of the Olympus, therefore his dance is weak too. Although, once given the lyre, he is filled with divine force, giving each muse their symbols – Calliope is given small tablet for writing; Polyhymnia receives mask, sign of possessing force of mime; while Terpsichore gets lyre. They are asked to demonstrate their art, while Apollo sits apart and gives value to the variations. Only Terpsichore receives his appraisal and dances pas de deux with him. At the conclusion Apollo and the three muses dance; he moves to the heights of Parnassus, accompanied by the muses, while the rest give their blessing on his way to gods' home. Voice of Zeus is heard, “calling for his son”, as the choreographer explained the music of the finale. The final part of the ballet is played out on special steel construction, representing a stairway. Balanchine introduced it in place of phaeton.

*Apollon musagete* took long to be appreciated, but it was clear to its creators that something new happened in ballet art, defined by the choreography in the first place. Classical dance began a new life after Apollo, while Balanchine had his second birth as choreographer after the premiere.

Diaghilev liked the ballet since the staging process. «What Balanchine is doing is remarkable. This is pure classicism, not seen since Petipa» – he said to composer Nabokov at a rehearsal. Stravinsky also credited Balanchine's new approach to choreography as the reason for the ballet's success.

The staging process did not take long. The Apollo and Terpsichore pas de deux was staged by Balanchine in half an hour in the Vaquer Studio in Paris, while the main part of choreography was created in



აპოლონი მუსაგეტი – მიხეილ ბარიშნიკოვი  
Apollo – Mikhail Baryshnikov



Monte Carlo. The choreographer introduced much according to his impressions. He loved symbolism. Muses set to phaeton, directed by Apollo, are analogous to the quadrigales on monuments on the Imperial Theatres (including the Bolshoi) while the beginning of the Apollo and Terpsichore pas de deux, where they touch fingers, depicts impression from 'the creation of Adam' in Sistine Chapel by Michelangelo. The well-known gesture by Apollo, with his one hand raised and fingers opened up with sunlight, while only closed fist of the right hand is seen from behind, represents the mental state of the young Giorgi Balanchivadze upon arriving from the hungry and demolished Russia at the flashing advertising lights of the Piccadilly Square in London in the Autumn of 1924.

*Apollon musagete* can be found in the repertoire of every great ballet dancer. «To dance the role of *Apollo* is to become good enough for dance», it is often said in ballet world. Peter Martins became «good enough» by a chance, when he was hastily invited to replace one of the ill New York City Ballet dancers for the *Apollo* role at the 1967 Edinburgh Festival. As Martins noted after the premiere, «When you dance Apollo, it does not matter which country made you a dancer». With strange coincidence, Martins' uncle, Danish dancer Leif Oernberg became second performer of Apollo.

Martins rehearsed under Balanchine himself, which later culminated in him moving to the theatre of the choreographer and becoming artistic director of the New York City Ballet after Balanchine's death.

Rudolf Nureyev saw the ballet in St. Petersburg during a tour of Alicia Alonso's company. After the performance, extatic Nureyev went to rehearsal of Grigorovich, who was then staging Legend of Love, and repeated all the steps of *Apollo* in the studio. «It is wonderful», Nureyev said about Apollo, nuances of which were explained to him by Eric Bruhn. Bruhn studied the role with Balanchine, and it is not known to this day why he did not dance it in New York. The ballet continues to amaze everyone to this day.

Diaghilev received great acknowledgement and financial gains from the ballet, Lifar got glory and fame, Stravinsky acquired great royalties and admiration, while Balanchine – experiencing financial difficulties at that time – was shared the sixth of the Stravinsky royalties by the composer. *Apollo*, shining with the arabesque of the muses, remains symbol of the new ballet aesthetics of the XX century and of the Balanchine theatre.



ნინო ანანიაშვილი,  
ანდრის ლიეპა.  
აპოლონ მუსაგეტი.  
ნიუ იორკ სითი ბალე.  
1988

Nina Ananiashvili,  
Andris Liepa. *Apollo*.  
New York City Ballet.  
1988

სიმბოლურ საგანს ჩუქნის: კალიოპეს – პატარა დაფას, საწერად; პოლიჰიმნიას – ნილაბს, როგორც უესტებით ძალმოსილების ნიშანს; ტერფსიქორას კი – ლირას. ბოლოს კი სთხოვს საკუთარი ხელოვნება აჩვენონ. თავად მოშორებით მჯდარი აფასებს მუზების მიერ შესრულებულ ვარიაციებს. მხოლოდ ტერფსიქორა დაიმსახურებს აპოლონის ქებას და მასთან ერთად ცეკვავს პა დე დეს. ბალეტის დასასრულს, აპოთეოზში, აპოლონი და სამივე მუზა ერთად ცეკვავს... აპოლონი ზევით, პარნასისკენ, მიემართება, მუზებიც მასთან არიან. დანარჩენები კი გზას ულოცავენ, აცილებენ აპოლონს ღმერთების საბრძანებლისკენ. ოლიმპოს მწვერვალიდან „ისმის ზევსის ხმა – მამა საკუთარ შვილს უხმობს“ (ასე ხსნიდა ქორეოგრაფი ბალეტის ფინალურ მუსიკას). ბალეტის ფინალი სპეციალურ რკინის კონსტრუქციამზე თამაშდება, რომელიც მაღალ კიბეს წარმოადგენს. ბალანჩინმა ის ეტლის ნაცვლად მოგვიანებით შემოიტანა ბალეტში.

„აპოლონ მუსაგეტის“ აღიარებას დრო დასჭირდა. მაგრამ მათი შემქმნელებისთვის ცხადი იყო, რომ საბალეტო ხელოვნებაში რაღაც ახალი მოხდა და ამას უპირველესად ქორეოგრაფია განაპირობებდა. „აპოლოს“ შემდეგ კლასიკურმა ცეკვამ ახალი ცხოვრება დაიწყო. ხოლო ბალანჩინი, როგორც ქორეოგრაფი, პრემიერის დღეს ხელმეორედ დაიბადა. ბალეტი დადგმის პროცესიდანვე მოსწონდა დიაგილევს. „ის რასაც ბალანჩინი აკეთებს საუცხოოა. ესაა სუფთა კლასიციზმი, რაც



პეტიპას შემდეგ არ გვინახავს – უთქვამს მას რეპეტიციებზე კომპოზიტორ ნაბოკოვისთვის. ბალეტის წარმატებას ბალანჩინის უჩვეულო ქორეოგრაფიას მიაწერდა თავად სტრავინსკიც.

დადგმის პროცესი ხანგრძლივი არ ყოფილა. აპოლონისა და ტერფსიქორას პა დე დე ბალანჩინმა ნახევარ საათში პარიზში, ვაკერის სტუდიაში, დადგა. ქორეოგრაფიის ძირითადი ნაწილი კი მონტე კარლოში მომზადდა. ბევრი რამ ბალანჩინმა საკუთარი შთაბეჭდილებების გავლენით შემიტანა ბალეტში. მას უყვარდა პირობითობა და სიმბოლოები. ეტლში შებმული მუზეები, რომლებსაც აპოლონი მართავს, საიმპერატორო თეატრებზე (მათ შორის დიდ თეატრზე) გამოსახული კვადრიგალების ანალოგიით შეიქმნა. აპოლონისა და ტერფსიქორას პა დე დე დასაწყისი, როცა ისინი თითუბით ეხებიან ერთმანეთს სიქსტის კაპელიდან მიქელანჯელოს „ადამის შექმნის“ შთაბეჭდილებას გამოხატავს. აპოლონის ცნობილი შესტი, როცა მას ერთი ხელი ზემოთ აქვს აღმართული და თითები მზის სხივებივითაა გახსნილი, ზურგს უკან კი მარჯვენა ხელის მხოლოდ შეკრული მუშტი მოუჩანს, 1924 წლის შემოდგომაზე, ლონდონში, ქორეოგრაფის პირველი ჩასვლის იმ განწყობას გადმოსცემს, როცა მშვიერი და დანგრეული რუსეთიდან ბრიტანეთში ჩასულმა ახალგაზრდა გიორგი ბალანჩივამ, პიკადილის მოედანზე, პირველად ნახა მოციმციმე სარეკლამო განათება.

აპოლონ მუსაგეტი ყველა დიდი საბალეტო მოცეკვავის რეპერტუარშია. „იცეკვო აპოლონის პარტია ნიშნავს, რომ ცეკვის ღირსი ხარ“ – ამბობენ ბალეტის სამყაროში.



40 | Arabesque

„ცეკვის ღირსი“ სრულიად შემთხვევით გახდა პიტერ მარტინსი – მოცეკვავე რომელიც 1967 წელს ედინბურგის ფესტივალზე, „ნიუ იორკ სითი ბალეს“ მოცეკვავის ავადმყოფობის გამო, სასწრაფოდ მიიწვიეს აპოლონის შემცვლელად. იღბლიანმა მარტინსმა პრემიერის შემდეგ აღნიშნა – „როცა ცეკვავ აპოლონს, აღარა აქვს მნიშვნელობა რომელმა ქვეყანამ გაქცია მოცეკვავედ“. უცნაური დამთხვევაა – აპოლონის მეორე შემსრულებელი მარტინსის ბიძა, დანიელი მოცეკვავე ლეიფ ორნბერგი იყო.

მარტინსთან რეპეტიციებს თავად ბალანჩინი ატარებდა, რაც იმით დასრულდა, რომ იგი საბოლოოდ გადავიდა ბალანჩინის თეატრში და მისი გარდაცვალების შემდეგ ნიუ იორკ სითი ბალეს სამხატვრო ხელმძღვანელი გახდა.

რუდოლფ ნურიევმა ბალეტი პეტერბურგში, ალისია ალონსოს დასის გასტროლზე ნახა. სპექტაკლის შემდეგ, სრულიად ალტაცებული ნურიევი, გრიგოროვიჩთან რეპეტიციებზე მივიდა, რომელიც მაშინ დგამდა ბალეტს – „ლევენდა სიყვარულზე“ და დარბაზში „აპოლოს“ ყველა მოძრაობა გაიმეორა. „შესანიშნავია“ – ამბობდა ნურიევი აპოლოზე, რომლის ნიუანსები, მას ერიც ბრუნმა აუხსნა. ბრუნი თავად ბალანჩინთან მეცადინეობდა ამ პარტიას. თუმცა დღემდე აუხსნელია, რატომ არ იცეკვა მან აპოლო ნიუ იორკში. ბალეტს დღესაც ალტაცებაში მოჰყავს ყველა.

2005 წელს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასში ნინო ანანიაშვილმა, ბალანჩინის ფონდთან თანამშრომლობის შედეგად, მისტერ ბის ყოფილი მოცეკვავეები ბარტ კუკი და მარია კალეგარი მოიწვია, რომლებმაც ჩვენი თეატრის სცენაზე ქორეოგრაფის ათი ბალეტი და საბალეტო მინიატურა გადმოიტანეს. „აპოლოს“ პრემიერა 2005 წელს შედგა. აპოლონის პარტია თეატრის სრულიად ახალგაზრდა სოლისტმა ლაშა ხოზაშვილმა იცეკვა. ამ ბალეტში ქართველმა მაყურებელმა ბალეტის მსოფლიო ვარსკვლავი იგორ ზელენსკიც იხილა.

დიაგილევა ამ ბალეტიდან დიდი აღიარება და ფინანსები მიიღო, ლიფარმა – სახელი და დიდება, სტრავინსკიმ – დიდი ჰონორარი და თაყვანისცემა. ბალანჩინს კი, რომელსაც ამ დროს ფინანსური პრობლემები ჰქონდა, სტრავინსკიმ საკუთარი ჰონორარის ერთი მეექვსედი დაუთმო. მუზეების არაბესკით გაბრწყინებული აპოლონი კი დღემდე რჩება მე-20 საუკუნის ახალი საბალეტო ესთეტიკისა და ბალანჩინის თეატრის სიმბოლოდ.

აპოლონ მუსაგეტი – ლაშა ხოზაშვილი. თბილისი. 2005 წ. Apollo – Lasha Khozashvili. Tbilisi. 2005



# დავით ჯავრიშვილი David Javrishvili

გიორგი კალანდია

თეატრის, კინოს, მუსიკისა და  
ქორეოგრაფიის მუზეუმის დირექტორი

By Giorgi Kalandia

Director of the Museum of Theatre,  
Cinema, Music and Choreography

დავით ჯავრიშვილი  
იუნკრის ფორმაში  
David Javrishvili in cadet  
uniform

ერთი შეხედვით თითქოს დაბალი, მაგრამ შეკრული და მოქნილი სხეულით, თვალებში დაუოკებელი ცეცხლით სავსე და მუდმივად შემართული გამოხედვით, ის ყოველთვის ამაყად დგას – იქნება ეს ლონდონის 1935 წლის საერთაშორისო ფესტივალი თუ საზოგადოება შევარდენის 1919 წლის წვრთნები. ასე ამაყად განვლო მთელი სიცოცხლე, რომელსაც არც წარმატება აკლდა და არც გულისტკენა.

ქართული ცეკვის მაცხოვრებელი, ჯადოქარი ხელოვნებაში, ქორეოგრაფიის დიდოსტატი, კაცი, რომელმაც სპორტი ხელოვნებად აქცია – უამრავი ასეთი ეპითეტის გამოყენება შეიძლება დავით ჯავრიშვილის მისამართით.

იგი 1894 წელს სოფელ ერთაწმინდაში დაიბადა, იმ დღეს გახარებული მამა მეუღლეს სოფიო ფალავანდიშვილს სწერდა:

„ვაშა, ვაშა ჩემს გვირგვინ სოფიოს!  
დაგკოცნი ისე როგორც პირველი  
ჯვრისწერის დღეს დაგკოცნე, ღმერთსა  
ვსთხოვ შენ კარგი დედობა გაგაწვეინოს“

დავითის მისამართით დედა მართლაც რომ სამაგალითო მზრუნველობას იჩენდა. მიუხედავად იმისა, რომ დავითს მამა ადრე გარდაეცვალა, მან მაინც მოახერხა შვილისთვის რიგიანი განათლება მიეცა. 1914 წ. დაამთავრა თბილისის ქართულ გიმნაზია და იმავე წელს თბილისის სამხედრო სასწავლებელში შევიდა. სასწავლებლის

He always stands proud with seemingly short, but fit and flexible body, eyes full of fire and set look – be it 1935 London International Festival or 1919 exercises of the Shevardeni Society. This is how he spent the entire life full of both success and disappointment.

Maestro of the Georgian dance; wizard in art; master of choreography; man who made a sport an art – many similar titles could be used when speaking about David Javrishvili.

He was born in 1894 in the village of Ertatsminda. Happy father wrote to his spouse Sophio Phalavandishvili that day:

“Praise to my Sophio! I kiss you like on the day of our marriage, and ask God to help you be a good mother”

And she did take special care of David. Despite his father passing away early, he still managed to receive good education for the time.

Javrishvili graduated from the Tbilisi Georgian Gymnasium in 1914 and enrolled in the Tbilisi Military School the same year. He was sent to the Turkish front following the graduation (discharged from the army in 1919). In 1917 Javrishvili became member of the Georgian Military Union alongside Gaioz Berelashvili and established Sports Society Amirani after wishes from the members of the union. Berelashvili became head of trainings, while



ბათუმის  
პედაგოგიური  
ინსტიტუტის  
სტუდენტები  
(სცენა მხატვრულ-  
ფიზკულტურული  
პიესიდან „ძველ  
ელადაში“.  
დ. ჯავრიშვილის  
ქორეოგრაფია)

Students of Batumi  
Pedagogical Institute  
(scene from the  
artistic-athletic piece  
In Ancient Hellas)

დამთავრებისთანავე ავბავნიან თურქეთის ფრონტზე (1919 წ. გათავისუფლებულ იქნა სამხედრო სამსახურიდან). 1917 წ. დავით ჯავრიშვილი მეგობარ გაიოზ ბერელაშვილთან ერთად საქართველოს სამხედრო კავშირის წევრი გახდა და მათი დაუინებელი თხოვნით სპორტსაზოგადოება „ამირანი“ დააარსა, სადაც ვარჯიშთავად გაიოზ ბერელაშვილი, ხოლო მოადგილედ – დავით ჯავრიშვილი დაინიშნა. გავა დრო და ჯავრიშვილი „შევარდენად“ გარდაქმნილ „ამირანს“ ქორეოგრაფიული ხელოვნების ნამდვილ სამჭედლოდ აქცევს. ერთხელ ბათუმში მას მეგობარი გიორგი ნიკოლაძე შეხვედრია, რომელსაც სპორტსმენისათვის შეუთავაზებია კლასიკური ბალეტისა და ქართული ცეკვების ილეთების შესწავლა და მათი დანერგვა თავისუფალ ვარჯიშში. ჯავრიშვილს ნიკოლაძის იდეა იმდენად მოეწონა, რომ ამ მიზნის მისაღწევად მთელი საქართველო მოიარა, პარალელურად საბალეტო ილეთების შესწავლა ბალეტ-მისიტერ ვაკარეცთან დაიწყო, შემდეგ კი ხელი მოჰკიდა ხალხური ცეკვების შეგროვება-შესწავლას. ჯავრიშვილი აწყობდა ექსპედიციებს ჯერ მთიან აჭარაში, შემდეგ კი სვანეთში. ამ ექსპედიციების დროს იგი ადგილობრივ მოსახლეობას ისე აცეკვებდა, როგორც ამას მათი წინაპრები ასრულებდნენ, ზეპირად სწავლობდა მისთვის უცნობ ყველა საცეკვაო ელემენტს,

Javrishvili was his deputy. Later he transformed Amirani (known at this time as Shevardeni) into a true workshop of choreography. Once in Batumi, he met his friend Giorgi Nikoladze, who proposed studying tricks of classical ballet and Georgian dance and incorporating them into exercises. Javrishvili liked the idea so much that he traveled around Georgia for this project, studied ballet methods under ballet master Vakarets, collected and studied folk dances. He organized travels to mountainous Adjara and later to Svaneti. During these expeditions he asked local population to dance like their ancestors, studied all dance elements unknown to him, recorded comments and tips by performers, and captured a great deal of material on film. What he saw made such impact on him that for some time he tried to combine his two professions, before the love for dance took an upper hand and made him dedicate his entire life to Georgian choreography.

It was amazing how much scientific touch and relentless approach David Javrishvili used to get closer to the roots of Georgian dance. For accomplishing this task he met academic Ivane Javakhishvili several times: "In 1935 I visited Mr. Javakhishvili to receive consulting regarding choreography. It was in his apartment; I cannot even describe the





იწერდა შემსრულებლების კომენტარებსა და ახსნა-განმარტებებს; ფირზე აღბეჭდავდა უამრავ მასალას. ნანახი მასზე იმდენად დიდ გარდატეხას ახდენდა, რომ თავიდან ერთმანეთს ორ პროფესიას უთავსებდა, მაგრამ საბოლოოდ, მაინც ცეკვის სიყვარულმა სძლია და მთელი ცხოვრებაც ქართულ ქორეოგრაფიას მიუძღვნა.

საოცარია როგორი მეცნიერული სიზუსტითა და დაუცხრომელი შემართებით ცდილობდა დავით ჯავრიშვილი ქართული ცეკვის სათავეებთან მიახლებას. ამ რთული ამოცანის შესასრულებლად ის რამდენიმეჯერ აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილსაც შეხვედრია: „1935 წელს ბატონ ივანე ჯავახიშვილთან ვიყავი ქორეოგრაფიაში კონსულტაციის მისაღებად, ჩემი მიღება მოხდა მის ბინაზე, – იგონებს დავით ჯავრიშვილი, ვერ აგიწერთ იმ შთაბეჭდილებას, რომელიც ჩემზე დატოვა ბატონმა ივანე ჯავახიშვილმა. ორი საათი გრძელდებოდა კონსულტაციის მოხმენა. იგი ლაპარაკის დროს წიგნების ავტორებს ასახელებდა, „ამ და ამ გვერდზე, ამ და ამ წიგნში სწერიაო ეს“, მერე გადაშლიდა წიგნს და სწორეთ იმ ადგილას აღმოჩნდებოდა ჩემთვის საინტერესო თემა, რომელზეც წუთის წინ დიდი აკადემიკოსი საუბრობდა. იმდენად დაბნეული ვიყავი კონსულტაციის დროს, რომ ზოგი რამ გამომრჩა და ამიტომაც მეორეჯერ ვესტუმრე მას. ვაჩვენე ჩემს მიერ გადაღებული ფოტოები სვანეთის ექსპედიციისა. რამდენიმე დღის შემდეგ მან ამოწერა ყველა საჭირო ცნობები ქართული ხალხური ცეკვებისა, გარდა იმისა, რაც მას ჰქონდა გამოცემული და გამომიგზავნა“

დავით ჯავრიშვილის თაოსნობით 1928 წელს ბათუმში ქორეოგრაფიული ექსპერიმენტალური სტუდია დაარსდა, რომელსაც იმავე წელს შეუერთდა აჭარის მომღერალთა გუნდი და მის ბაზაზე აჭარის სიმღერისა და ცეკვის პირველი ანსამბლი შეიქმნა. იმ დროისათვის სიმღერისა და ცეკვის შერწყმა ხელოვნებაში ახალი სიტყვა იყო, რასაც შესანიშნავად გაართვეს თავი დავით ჯავრიშვილმა და ლოტბარმა მიხეილ კუხიანიძემ. ამ ანსამბლმა 1936 წელს საქართველოს რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე პირველი ადგილი დაიკავა და უფლება მიეცა კონცერტები გაემართა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში.

მემედ აბაშიძის დახმარებით დავით ჯავრიშვილი ერთ-ერთი პირველი ქართველი იყო, რომელმაც უცხოელ მაყურებელს ქალაქ ტრაპიზონში ქართული ქორეოგრაფიული ელემენტებით გაჯერებული

impression he left on me. Consulting went on for two hours; he named authors and mentioned certain pages that contained topics, before opening those books with exactly the information on the mentioned pages. I was so confused by his presence that missed a lot of topics and had to visit him for the second time, showing him the pictures I had made during the expedition to Svaneti. After several days he listed all necessary notes about Georgian dances, alongside those he had published, and sent them over to me.”

With the leadership of David Javrišvili, an experimental choreographic studio was founded in 1928 in Batumi. It later merged with the Singers Chorus of Adjara and developed into the first Song and Dance Ensemble of Adjara. It was a novelty at that time to combine singing and dancing, and it was managed remarkably by Javrišvili and bandmaster Mikheil Kukhianidze. The ensemble won the 1936 Republic Olympics of Georgia and claimed the right to arrange concerts in various cities of the USSR.

With the assistance of Memed Abashidze, Javrišvili was one of the first Georgians to present a beautiful performance, full of Georgian choreographic elements, in Trabzon. The ecstatic choreographer wrote: “Our visit to Trabzon caused exceptional interest among the Turkish population, as this was the first occasion of a visit of representatives of a socialist republic to Turkey. Each instance of Georgians appearing in street was met with cheering. Our visit there turned into a local celebration in honor of the young Georgian republic. That festive mood was further enhanced by our bass band under the directorship of Khavtasi. This was the first occasion of Georgians traveling abroad and holding contest with foreign counterparts – something we could not dream of before.

More unprecedented success was on their way for the 1935 London International Festival, where Javrišvili was again director and staging master. Each dance number was met with rapturous applause from a sea of crowd, among which Her Majesty Queen Elizabeth II could be seen. This was followed by Berlin International Festival and Warsaw V International Festival of Youth and Students, while no significant event would now take place in Georgia without choreographic stagings by Javrišvili.



ულამაზესი წარმოდგენა აჩვენა. გახარებული ქორეოგრაფი აღფრთოვანებული წერდა: „ჩვენმა ვიზიტმა ტრაპიზონში თურქი მოსახლეობის არნახული ინტერესი გამოიწვია, რადგან ეს იყო თურქეთში სოციალისტური ქვეყნის წარმომადგენლების ჩასვლის პირველი შემთხვევა. ამიტომ ქართველების ყოველ გამოჩენას ქუჩებში ხალხი „ვაშას“ შეძახილებით ხვდებოდა. ჩვენი იქ ყოფნა ტრაპიზონელთა სახალხო ზეიმად იქცა ახალგაზრდა საქართველოს რესპუბლიკის საპატივცემულოდ. საზეიმო განწყობილებას ხელს უწყობდა ჩვენი სასულე ორკესტრი ხავთასის ხელმძღვანელობით... ეს იყო ქართველების პირველი გამგზავრება საზღვარგარეთ, პირველი შეჯიბრება უცხოელებთან, რაზეც მანამდე ოცნება არ შეგვეძლო“.

არნახული წარმატება ხვდა ქართველ მოცეკვავეთა ჯგუფს 1935 წელს ლონდონის საერთაშორისო ფესტივალზე. აქაც ხელმძღვანელი და ცეკვების დამდგმელი დავით ჯავრიშვილი იყო. ყოველი საცეკვაო ნომრის დასრულებას ზღვა ხალხი აღფრთოვანებული ტაშითა და ოვაციებით ეგებებოდა. აღფრთოვანებულ მაყურებელთა შორის, თვით მისი უბრწყინვალესობა, დედოფალი ელისაბედ II იყო. ამას მოჰყვა ბერლინის საერთაშორისო ფესტივალი, ვარშავის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა V მსოფლიო ფესტივალი. საქართველოში უკვე არც ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება დავით ჯავრიშვილის ქორეოგრაფიული დადგმების გარეშე არ ტარდებოდა.

დავით ჯავრიშვილი პირველი ქორეოგრაფია, ვინც საქართველოს ფარგლებს გარეთ ქართულ ოპერებში ცეკვების დადგმა განახორციელა. მისი აქტიური მეცადინეობით მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე ოპერა „აბესალომ და ეთერის“ ცეკვები დაიდგა, ამას მოჰყვა „დაისი“ და მრავალი სხვა.

მრავალწლიანი მუშაობის შემდეგ დავით ჯავრიშვილი დარწმუნდა, რომ ქართველი ხალხის ქორეოგრაფიული ხელოვნება წარმოადგენს მდიდარ მასალას ეროვნული საბალეტო ხელოვნების შექმნისა და განვითარებისათვის. ამიტომ დათანხმდა ოპერისა და ბალეტის თეატრის მიწვევას ბალეტმאיსტერის თანამდებობაზე. ეს მოხდა 1933 წელს და ამ თანამდებობაზე იგი მთელი 20 წლის მანძილზე მუშაობდა. ბალეტის მოცეკვავეთა თაობები მისი სტუდიის აღზრდილი იყო და ხშირად აღნიშნავენ მის დიდ ღვაწლს ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში.

პროფესიული მოცეკვავე კადრების შექმნის მიზნით მან თბილისში უფასო ქორეოგრა-

Javrishvili was the first choreographer to create dances for Georgian operas abroad. His active work resulted in dances for *Abesalom and Eteri* staged in Bolshoi Theatre of Moscow, followed by *Daisi* and many more.

As a result of many years of work Javrishvili became convinced that choreographic art of Georgian nation was a rich material for creation and development of national ballet art. Therefore in 1933 he accepted an invitation by Opera and Ballet Theatre to work as ballet master and did so for the next 20 years. Entire generations of dancers were raised by his studio, and his share in developing Georgian choreographic art is often mentioned.

Javrishvili established free choreographic studio in Tbilisi, with the aim of training professional dancers. His studio merged with Maria Perini's private one and this later resulted in creation of State Ballet School (now known as Vakhtang Chabukiani State School of Ballet Art).

Javrishvili was an innovative artist. He laid foundations in Georgia for scientific study and development of choreography. Up to twenty printed works in Georgian and Russian are the result of the scientific work carried out by him. He was first to write fundamental work *The Georgian Dance*, followed by *Mountainous Dances*, *Georgian Folk Dances*, *Dances of the Nations of Georgia* and more. But *Markings for Recording Georgian Dances* is considered to be his main work, as with it the artist took a new step in choreography, developed entire system for recording Georgian folk dance, created alphabet of dance that made it possible to "write" and then "read" dances. This preserved Georgian dance to this day, when it can be staged anywhere without losing any of its appeal.

David Javrishvili was granted the title of Honorable Artist of Georgia, and later People's Artist of Georgia. He is laureate of many prizes and much gratitude. But there were many disappointments too.

After fifteen years of fruitful work at the choreographic studio, Section of the Artistic Matters inspected the studio and having "discovered" deficiencies, immediately relieved him from his position, based on his own application. Similar situation developed at the Opera and Ballet Theatre and Javrishvili was forced to leave after twenty years of work, again via his application. This was followed by health problems. Despite all these difficulties, the great artist did not give up and lived through all his life as a knight of Georgian dance.





ლონდონის ფესტივალზე ყოფნის დროს ჯგუფის სამახსოვრო სურათი. (ცენტრში ჩოხით ილიკო სუხიშვილი, მისგან მეორე მარცხნივ, დ.ჯავრიშვილი)

Memorable photo from London Festival (Iliko Sukhishvili in the centre, with D. Javriashvili second to his left)

ფიული სტუდია დააარსა, მას შეუერთდა მარია პერინის კერძო სტუდიაც და ამ ორგანიზაციამ შემდგომში საფუძველი ჩაუყარა სახელმწიფო სახალგალო სასწავლებელს (დღეს ვახტანგ გაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიული ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელი).

დავით ჯავრიშვილი იყო ნოვატორი ხელოვანი. საქართველოში მან პირველმა ჩაუყარა საფუძველი ქორეოგრაფიის მეცნიერულ კვლევასა და განვითარებას. ოცამდე დაბეჭდილი შრომა ქართულ და რუსულ ენებზე, – ასეთია შედეგი იმ სამეცნიერო მუშაობისა, რომელსაც დავით ჯავრიშვილი ეწეოდა. მან პირველმა დაწერა ფუნდამენტური ქორეოგრაფიული ნაშრომი „ცეკვა ქართული“. ამას მოჰყვა „მთიულური ცეკვები“, „ქართული ხალხური ცეკვები“, „ქართველ ხალხთა ცეკვები“ და სხვა. მაგრამ, მთავარი მაინც არის მისი ნაშრომი „ქართული ცეკვის ჩასაწერი პირობითი ნიშნები“, ამით ხელოვანმა ახალი სიტყვა თქვა ქორეოგრაფიაში, შეიმუშავა მთელი სისტემა ქართული ხალხური ცეკვის ჩაწერისა, შექმნა ცეკვის ანბანი, ანუ ის რითაც შესაძლებელი ხდება ცეკვების „ჩაწერა“ და მერე მისი „წაკითხვა“. სწორედ ამ შრომის შედეგია კლასიკური ქართული ხალხური ცეკვის დღემდე

შემონახვა. ის შეიძლება დაიდგას ყველგან და არსად დაკარგოს თავისი ელფერი.

ნაყოფიერი მუშაობისათვის დავით ჯავრიშვილს ჯერ საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ხოლო ცოტა მოგვიანებით საქართველოს სახალხო არტისტის წოდება მიანიჭეს. მიღებული აქვს მრავალი ჯილდო და მადლობა.

მაგრამ იყო დიდი გულდაწყვეტაც. ქორეოგრაფიულ სტუდიაში თხუთმეტწლიანი ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ ხელოვნების საქმეთა სამმართველომ შეამოწმა სტუდია, „აღმოაჩინა“ რა ნაკლოვანებები დავით ჯავრიშვილი დაუყოვნებლივ გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან, საკუთარი განცხადების საფუძველზე. დაძაბული ვითარება შეექმნა ოპერისა და ბალეტის თეატრშიც და ოცწლიანი მუშაობის შემდეგ გაათავისუფლეს ბალეტმამისტრის თანამდებობიდან, კვლავ საკუთარი განცხადების საფუძველზე. ამას მოჰყვა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემებიც. მიუხედავად ყველაფრისა, დიდ ხელოვანს ფარ-ხმალი მაინც არ დაუყრია და მთელი სიცოცხლე ისე ამაყად განვლო, როგორც ეს ქართული ცეკვის რაინდს ეკადრებოდა.





## შეკვეთილში, საბაფხულო შეკრებაზე

ზაფხულში, საბალეტო დასის მსახიობებს, შეკვეთილში, შავი ზღვის პირას, საბაფხულო შეკრება ჰქონდათ. ასეთი შეკრების იდეა ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელს ნინო ანანიაშვილს კარგა ხანია ჰქონდა, მისი განხორციელება კი წელს გახდა შესაძლებელი.

„ბალანჩინი, ყოველ ზაფხულს, დასის შეკრებებს, ნიუ ირკთან ახლოს, სარატოგაში ატარებდა. ეს იდეალური საშუალებაა თან დაისვენო, თან საკუთარ პროფესიას არ მოწყდე. დიდი ხანია მინდოდა ასეთი შეკრებების მოწყობა. ხშირად გასტროლები ან წინასაგასტროლო სამზადისი ამის საშუალებას არ გვაძლევდა. წლებანდელი კალენდარი ამისთვის იდეალური აღმოჩნდა. ვმუშაობდით საპრემიერო სპექტაკლზე და რეგიონებში გასასვლელად ვემზადებოდით. ვფიქრობ, საინტერესო იყო“ – განაცხადა „არაბესკთან“ საუბარში ნინო ანანიაშვილმა.

როგორც მოცეკვავეები ამბობენ, საკუთარ პროფესიას არც ზღვაზე დასვენების დროს ივიწყებდნენ. ამ ფოტოებს რომ დაათვალიერებთ ამაში ადვილად დარწმუნდებით.







## A Summer gathering in Shekvetili

This Summer dancers of the ballet company had a gathering at the Black Sea resort of Shekvetili – a long time idea by artistic director Nina Ananiashvili that finally came to fruition.

“Balanchine used to gather his company each Summer in Saratoga Springs, close to New York. This is the perfect opportunity to have a rest and keep up with the work at the same time. I had been wishing to organize such gathering for a long time, although often tours or pre-tour preparations didn't allow for it. This year's calendar appeared perfect for such meeting. We prepared a performance for premiere and got ourselves ready for the tour to regions. I think it proved interesting” – Nina told us.

The company prepared for the two-week tour to the regions of Georgia, simultaneously working on the new premiere that was presented on September 22 at the opening of the new season.

As the dancers said, they didn't forget about their profession even during the rest, which is easy to spot on the pictures.







ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების პირველი შეკრება  
First meeting of the season for friends of the Georgian Ballet

## New Season for Friends of the Georgian Ballet

New season was met with new governing board members— Sarah Williamson and Michele Dunn have become new chairpersons. Artistic director of the company Nina Ananiashvili greeted and thanked members of the organization for their support.

On September 22 Friends of the Georgian Ballet opened their new season. As usual, their first gathering coincides with the beginning of new ballet season and members of the organization met at the A. Griboedov State Theatre as the 160th theatrical season was about to begin.

Names of the students of the V. Chabukiani State School of Ballet Art, awarded with scholarships of Friends of the Georgian Ballet, were announced at the gathering:

- Tsitsilashvili Vasil** – scholarship by the name of Elvira Pietrarroia Sandalli
- Badurashvili Giorgi** – scholarship by the name of Ginger Minges
- Papashvili Nikoloz** – scholarship by the name of Masayoshi and Junko Kamohara
- Mezurnishvili David** – scholarship by the name of Mayumi Iino
- Kadjaia Anastasia** – scholarship by the name of Lia Gogolashvili
- Kardava Sopio** – scholarship by the name of Izumi Takahashi
- Miminoshvili Svetlana** – scholarship by the name of Marylis Sevilla-Gonzaga



## ბალეტის მეგობრების ახალი სეზონი

160-ე სეზონიდან ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოებას ახალი ხელმძღვანელები ჰყავს. მმართველობითი საბჭოს თანათავმჯდომარეები წელს სარა ვილიამსონი და მიშელ დანი გახდნენ.

ტრადიციულად საზოგადოების ახალი წევრების შეკრება საბალეტო სეზონის გახსნას ემთხვევა. 160-ე საბალეტო სეზონის გახსნის წინ, 22 სექტემბერს, ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრში საზოგადოების ახალი შემადგენლობის შეკრება მოეწყო.

საზოგადოების ახალ წევრებს მიესალმა და თანადგომისათვის მადლობა გადაუხადა საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელმა ნინო ანანიაშვილმა.



საზოგადოების წლიური სტიპენდიანტები  
Annual scholarship awardees

ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების შეკრებაზე გამოცხადდა ვ. ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის იმ მოსწავლეების სახელები, რომლებიც წელს საზოგადოების სახელობითი სტიპენდიანტები გახდნენ:

- ვასილ წიწილაშვილი** – ელვირა პეტრაროია სანდალის სახელობის სტიპენდიანტი
- გიორგი ბადურაშვილი** – ჯინჯერ მინგესის სახელობის სტიპენდიანტი
- ნიკოლოზ პაპაშვილი** – მასაიოში და ჯუნკო კამოჰარების სახელობის სტიპენდიანტი
- დავით მეზურნიშვილი** – მაიუმი ინოს სახელობის სტიპენდიანტი
- ანასტასია ქაჯაია** – ლია გოგოლაშვილის სახელობის სტიპენდიანტი
- სოფიო ქარდავა** – იზუმი ტაკაკაჰაშის სახელობის სტიპენდიანტი
- სვეტლანა მიმინოშვილი** – მერილის სევილა-გონზაგას სახელობის სტიპენდიანტი





**ქართული ბალეტის მეგობართა  
საზოგადოების ნაწევარი**  
**LIST OF THE MEMBERS OF FRIENDS  
OF THE GEORGIAN BALLET**

სეზონი 2011/2012 SEASON

1. ჯონ ბასი და ჰოლი ჰოლცერ ბასი John Bass and Holly Holzer Bass	ოქრო Gold
2. ლადო და ლარისა გურგენიძეები Lado and Larissa Gurgenidze	ოქრო Gold
3. ნეილ და მიშელ დანები Neil and Michele Dunn	ოქრო Gold
4. ტონი ტოშევი და აქსენია ტოშევა Toni Toshev and Xenia Tosheva	ოქრო Gold
5. მასაიოში და ჯუნკო კამოჰარა Masayoshi and Junko Kamohara	ოქრო Gold
6. გიორგი ჭირაკაძე და სარა ვილიამსონი George Chirakadze and Sarah Williamson	ოქრო Gold
7. პოლ ჰენრი და კეროლიან ფორესტირები Paul-Henri and Caroline Forestier	ოქრო Gold
8. ფილიპ დუვეზი Philippe Limet Dewez	ოქრო Gold
9. მარინა ვაჩნაძე Marina Vachnadze	ოქრო Gold
10. კარენ ვოლფსონი Karen Wolfson	ოქრო Gold
11. კეითი მაკლეინი Cathy McLain	ვერცხლი Silver
12. მაია ფრენკ-ჰენიგი Maya Frank-Hennig	ვერცხლი Silver
13. მაკა გოცირიძე Maka Gotsiridze	ვერცხლი Silver
14. მიშელ დეროჰანესიანი Michele Derohanesian	ვერცხლი Silver
15. ელენა დიმიტროვა Elena Dimitrova	ვერცხლი Silver
16. იზაბელა და შარლოტ ემბორგები Isabella and Charlotte Emborg	ვერცხლი Silver
17. ალა თურმანიძე-კოვგილი Ala Turmanidze-Cowgill	ვერცხლი Silver
18. ევა იესტრაბოვა Eva Jestrabova	ვერცხლი Silver
19. პიტერ და მიკე ლან გენბერგები Pieter and Mieke Langenberg	ვერცხლი Silver
20. პიერ ორლოვი Pierre Orloff	ვერცხლი Silver
21. მერი ჰოლცერი Mary Holzer	ვერცხლი Silver

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დარეკოთ:

For additional information, please call:

**(995 32) 235 75 03**

# მეგობარი ბალეტის

ქართული საზოგადოება

გთხოვთ განვერიანდეთ ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოებაში, რათა დაეხმაროთ ქართულ საბალეტო დასს, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი გახლავთ მსოფლიოში ცნობილი ბალერინა ნინო ანანიასვილი.

ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების დამფუძნებლები არიან: **სილვა აკოპიანი, ლია მაჭავარიანი, ელისაბედ საღარაძე, ირინა ხომერიკი და მიჩელე შაუფი.** საპატიო დამფუძნებლები არიან: **მეიდა მაკლარენი და ინა გუდავაძე.**

მმართველობითი საბჭოს თანათავმჯდომარეები არიან: **სარა ვილიამსონი და მიშელ დანი;** საპატიო მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარე: **მარიელა ს. ტეფტი.**

ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების მხარდამჭერია თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მმართველი დავით საყვარელიძე.

Please join us as members of *Friends of the Georgian Ballet* and help us to support the revitalization of this venerable ballet company under the artistic directorship of world-renowned ballerina, Nina Ananiashvili

Founders of *Friends of the Georgian Ballet* are: **Silva Akopian, Lily Hauf, Irina Khomeriki, Lia Machavariani, and Elisabed Sagaradze.** Honorary founders are: Maida MacLaren and Inna Gudavadze.

Members of the Governing Board are: Co-Chairmen **Sarah Williamson and Michele Dunn;** Honorary Chairman is: **Mariella C. Tefft.**


*Friends of the Georgian Ballet* is supported by Managing Director of the Tbilisi Z. Paliashvili Opera and Ballet State Theatre D. Sakvarelidze.

## Friend of THE GEORGIAN BALLET





 **BlackBerry**®



BlackBerry® BOLD™ 9000 smartphone

BlackBerry®, RIM®, Research In Motion®, SureType®, SurePress® და სხვა დაცემული სახელწოდებები  
საბჭოეთი და ოლონია. ნაჩამოაღწეს Research In Motion Limited - ის საკუთრება და რეგისტრირებული  
დასრ. გამოყენება. აშშ-სა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. გამოყენება Research In Motion Limited - ის ოცუნილი.



**საქსი**

მეტი დრო  
ცხოვრებისათვის